ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 20 სექტემბერი, 2011 №223 (5603) ფასი: 30 თეთრი

## კოკოითის რჩეული ანატოლი ბიბილოვი გახდა

გვ.2

პრეზიდენტობის ოპოზიციონერ კანდიდატს დოკუმენტები წაართვეს



# შალვა ოგბაიძე: „გაგვაგებინეთ, როგორ აღმოჩნდა 20 ჰექტარი ქართული მიწა სომხეთის ხელში!“

გვ.2

საქართველოს საზღვარმა კავკასიონის აქეთ გადმოიწია





გვ.3

## ვინ შეცვლის ნიკა გილაურს

დატრიალდება თუ არა მორიგი სამთავრობო კარუსელი

## „ქართველთა მარშმა“ შეიძლება „ექსიანი“ დაშალოს

გვ.3



### სააკაშვილი გაეროში გამოსვლისთვის ემზადება

გვ.5





### ადვოკატები 26 სექტემბრიდან აქციებს იწყებენ

გვ.6

### პენსიონერი ტაჯიკეთში უფრო დაცულია, ვიდრე საქართველოში

გვ.2





### ოპოზიციას საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების არ სჯერა

გვ.3

### სოსო მანჯავიძე: „წინააღმდეგობის მოძრაობა აქციებს ოქტომბრიდან დაიწყებს“

გვ.7



# დაკავება 17 წლის შემდეგ

გვ.4

### ვინ ვინ არის

გვ.6





## გიორგი ტუღუში მთავარი პროკურორისგან გამოძიების დაწყებას ითხოვს

გვ.4

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 სოდ-ის მიერ დაკავებულ შორენა ხანგოშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

5 ელიას მთაზე მდებარე ეკლესიაში სალოცავად მისული მამაკაცი დაიღუპა

4 კახეთის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

6 შუალედურ არჩევნებს თელავში ორი არასამთავრობო ორგანიზაცია დააკვირდება

# შალვა ოგბაიძე: „გაგვაგებინეთ, როგორ აღმოჩნდა 20 ჰექტარი ქართული მიწა სომხეთის ხელში!“

თეა მარხვაი ე

საქართველოს მოსახლეობა უკვე მიეჩვია, რომ ქვეყნის ტერიტორიები ნელ-ნელა მცირდება. რუსების გარდა ჩვენი სხვა მეზობლებიც სხვადასხვა ხერხებით ეპატრონებიან ჩვენს მიწებს. ხელისუფლება რატომღაც ამაზე ხმას არ იღებს. არც რაიმე სახის განმარტებების გაკეთებას კადრულობს.


შალვა ოგბაიძე

განმარტებები არც სოფელ ხულდარის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე გაკეთებულა. ცნობილია, რომ 2 კვირის წინ საქართველოს კუთვნილი 20 ჰექტარი სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. როგორ აღმოჩნდა ეს ტერიტორია სომხეთის ხელში, რატომ დუმს ხელისუფლება და რას მოგვიტანს ეს ყველაფერი, ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობა — „ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი შალვა ოგბაიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**შალვა ოგბაიძე:**

— საზღვრებთან დაკავშირებით საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა. სისტემატიურად ხდება საქართველოს საზღვრების გადმოწევა. ამ მხრივ მარტო რუსეთთან არ არის პრობლემები. სერიოზული პრობლემები იქმნება საქართველო-სომხეთის და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრებთან. ჩვენს ქვეყანას თურქეთის გარდა არც ერთ ქვეყანასთან არა აქვს საზღვარი დადგენილი. დემილიტაცია-დემარკაციის სამუშაოები უკვე 20 წელია მიმდინარეობს, მაგრამ არაფერი გარკვეულა. ამით კარგად სარგებლობენ ჩვენი მეზობლები. სულ რაღაც 2 კვირის წინ სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 20 ჰექტარი მიწა. საუბარია სოფელ ხულდარზე. ეს სოფელი სადახლოს თემში შედიოდა.

***— რანაირად აღმოჩნდა ქართული სოფელი სომხების ხელში?***

— აქ საუბარი არ არის, რომ ვიღაცა შემოგვეჭრა და გვიპყრობს. ეს არის ქართული ბედოვლათობის ბრალი. ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ დღეს ქართული მიწა იყიდება!

***— რას ნიშნავს იყიდება ქართული მიწა?***

— იმას, რომ ქართული მიწა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით იყიდება! ქართული ტერიტორიები ჩვენი სახელმწიფო მოხელეების უგერგილობის და გულარხეინობის გამოც იკარგება. სწორედ ამის გამო აღმოჩნდა 20 ჰექტარი ქართული მიწა სომხეთის ტერიტორიაზე.

***— ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით არაფერი არ უთქვამს. ისინი არ აღიარებენ ამ ტერიტორიის დაკარგვას.***

— არც მომავალში აღიარებენ ამას. ასეთივე ვითარება იყო შექმნილი 2 წლის წინ მამისონის უღელტეხილთან. 2009 წლის გაზაფხულზე რუსებმა გადმოსწიეს საზღვარი. მეტეოსადგური, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის იყო და ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ, რუსებს დარჩათ. ამასთან დაკავშირებით მაშინ ოპოზიციამ და საზოგადოებამ ატეხა განგაში. ხელისუფლება კი გულმოდგინედ ასაბუთებდა, რომ საზღვრის გადმოწევას ადგილი არ ჰქონია. ამათ შემხედვარეს ერთი ქართული ანდაზა მახსენდება: „ბრმას ცოლი მოუკვდა და არ ეუბნებოდნენ, ღამე რომ არ მიუწვა, ხომ მაინც გაიგო“. რას გვიმალავენ, ნამდვილად ვერ გავიგე. ერთი უბედურება ისაა, რომ ტერიტორიები იკარგება. მეორე კი ისაა, რომ ამ პროცესს ხელისუფლება ასაიდუმლოებს.

***— რატომ ასაიდუმლოებს, იმ ანდაზისა არ იყოს, ბოლოს ხომ მაინც გავიგებთ?***

— გასაიდუმლოების გამო ვერც გავამტყუნებ ხელისუფლებას. ტერიტორიების დაკარგვაზე გაცილებით მომგებიანია კრის ბოტის კონცერტის დაპიარება. გაცილებით უკეთესი სანახავია, როცა აჩვენებ ლიტვაში, ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატზე წასულ 2000 გულშემატკივარს. სხვათა შორის, ისინი იქ ჩვენი ფულით წავიდნენ. აი, ასეთ სასეირო სანახაობებს გვთავაზობს ხელისუფლება, იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ ჩვენი მიწები იკარგება.

## საქართველოს საზღვარმა კავკასიონის აქეთ გადმოიწია

***— მოდით ისევ მამისონს დავუბრუნდეთ, ხელისუფლება დღემდე არ აღიარებს, რომ მამისონზე რუსები დგანან და ეს ტერიტორია დავკარგეთ.***

— მამისონზე დღეს ფრიალებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის და რაც ყველაზე სამწუხაროა, რუსეთის დროშა. როგორც უკვე გითხარით, საზღვრებთან დაკავშირებით რთული ვითარებაა აზერბაიჯანთანაც. ამის ნათელი დადასტურება სიღნაღის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს. ეს სოფელი ჩვენი ბედოვლათობის გამო სადავო გახდა, ამ სოფელში საქართველოს მოქალაქეები სპეციალური საშვის გარეშე ვერ შედიან. არსებული ინფორმაციით, ამ სოფლის ნახევარი შეიძლება აზერბაიჯანის საკუთრება გახდეს.

***— თუ არის ცნობილი, რატომ გახდა ეს სოფელი სადავო?***

— ესეც ჩვენი გულარხეინობის ბრალია. ვიღაცამ ასე, სახაზავით გაავლო ხაზი და ჩვენი სოფლის ნაწილი მოხვდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. გასულ წელს იქ სამწუხარო ინციდენტი მოხდა. ამ სოფელში აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები და პანკისელი ქისტები ცხოვრობენ. სოფლის გარშემო არსებულ გაუგებრობას ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე შეეწირა. ის საქონელთან იყო წასული, როცა აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მოკლეს. ამის გამო არავინ დასჯილა. სოფლის მოსახლეობა დღემდე ხიფათსა და გაურკვევლობაში ცხოვრობს. სამწუხარო ისაა, რომ ხელისუფლებას ამ ყველაფერზე აქვს პასუხი. ეს პასუხი შემდეგნაირად ჟღერს: „ასეა საჭირო“. იქნება ჩვენც აგვიხსნათ, რატომ არის ასე საჭირო. არა ვართ ჩვენ გაუგებარი ხალხი და თუ ეს ქვეყნის საკეთილდღეოდ კეთდება, გავიგებთ. მაგრამ რაკი არაფერს განმარტავთ, ჩვენ გვიჩნდება სავსებით ლეგიტიმური შეკითხვა, რის სანაცვლოდ მიდის ჩვენი მიწებით ვაჭრობა. გაუმჭვირვალეობა და არაინფორმირებულობა უამრავ ეჭვს ბადებს. ეს გახდა ჩვენი ხელისუფლების სავიზიტო ბარათი. დღემდე მიდის იმის გარკვევა თუ რა ტიპის მემორანდუმი გააფორმეს საქართველომ და რუსეთმა „ენგურჰესთან“ დაკავშირებით.

***— ჩვენი ხელისუფლება ამ მემორანდუმის გაფორმებას დღემდე არ ადასტურებს.***

— არც დაადასტურებს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ეს მემორანდუმი გაფორმდა. ცნობილია ისიც, თუ რა ულტიმატუმს აყენებდნენ აფხაზები. ვიცით ისიც, რომ რუსები „ენგურჰესზე“ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტრანზიტს აპირებდნენ თურქეთში საქართველოს გავლით. ხელისუფლებამ ასეთ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გააკეთოს განმარტებები. ასეთი გასაიდუმლოება ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

***— მოდით ისევ საზღვრებს დავუბრუნდეთ, გავრცელებული ინფორმაციით, საზღვრის გადმოწევის ფაქტები დაფიქსირდა ხევსურეთსა და თუშეთშიც. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი ამას არ ადასტურებს. მოსახლეობა კი საპირისპიროს ამტკიცებს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— სოფელ ფიჭვებთან საზღვრის გადმოწევის შემდეგ, რუსები ძალიან მიეჩვივნენ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსვლას. ამ მხრივ პირიქითა ხევსურეთში არის საშინელი ვითარება. ასეთივე მდგომარეობაა თუშეთში. ჩვენი ბუნებრივი საზღვარი აქამდე კავკასიონის იქეთ იყო. ახლა კავკასიონის აქეთ არის გადმოწეული. ამ ვითარებას რომ ვუყურებ, სულ „შაგრენის ტყავი“ მახსენდება. მართალაც ასე პატარავდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორია. მცოცავი გრაფიკით, ხავერდოვნად მიდის ქართული მიწის დათმობა. არცთუ შორეულ წარსულში, 1997 წელს, რუსებმა ნეიტრალური ტერიტორია დაარღვიეს. ნეიტრალური ტერიტორია დარიალის ხეობაშია. მიღწეული შეთანხმების თანახმად, საზღვრის საბოლოო დადგენამდე ამ ტერიტორიაზე მორატორიუმი იყო გამოცხადებული. რუსებმა ეს შეთანხმება დაარღვიეს და 1200 მეტრით ამოიწიეს ზევით. ამასთან დაკავშირებით გაიმართა საპროტესტო აქციები დარიალის ხეობაში. ჩვენ ძალიან ვაქტიურობდით.

***— ეს ამბები ჩვენში ალბათ ყველას ახსოვს. მაშინდელი მოქკავშირლები საზღვარს ცანგალა და გოგონას სიმღერით იცავდნენ.***

— ვიღაცას სიმღერა ახსოვს. მე კი მახსოვს ელექტროშოკი. იმ ინციდენტის დროს ერთადერთი დაშავებული მე ვიყავი. ელექტროშოკის გამოყენებით კედელზე გამაკრეს რუსმა სპეცრაზმელებმა.

***— გამოდის, რომ თქვენ ჩვენი სპეცრაზმელების გარდა რუსი სპეცრაზმელებიც არ გწყალობენ.***

— ასე გამოდის. დღემდე მახსოვს, რუსები სპირტით გაჟღენთილები იყვნენ. ისიც მახსოვს, როგორ ჩართეს მელოდია ოპერაციის დაწყების წინ. მაშინაც იყო მცდელობა ჩვენი მიწის მიტაცებისა. ღვთის წყალობითა და ჩვენი ერთად დგომით შევძელით წინ აღვდგომოდით ამას. მაშინ სახელმწიფოცა და ოპოზიციაც ერთად იყო. ოპოზიცია ახლაც მზადაა საზღვრის დასაცავად იბრძოლოს. ხელისუფლებამ კი სიმართლის თქმა უნდა ისწავლოს. მან უნდა აგვიხსნას, რატომ დაიკარგა ქართული მიწები. ეს დუმილი საქართველოს კარგს არაფერს არ მოუტანს.

## პენსიონერი ტაჯიკეთში უფრო დაცულია, ვიდრე საქართველოში

„თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებას მოუწოდებენ, პენსიების გაზრდასთან დაკავშირებით მასშტაბურ სატელევიზიო სარეკლამო რგოლებში ფულის დახარჯვას, სოციალური პროგრამები გაზარდოს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, „თავისუფალმა დემოკრატების“ წარმომადგენელმა ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, უმჯობესი იქნებოდა მთავრობას აღნიშნული ფული საკუთარი თავის გაპიარების ნაცვლად კონკრეტულ სოციალურ პროექტში დაეხარჯა, კერძოდ კი, რეკლამისთვის დახარჯული თანხები მე-2 და მე-3 ჯგუფის ინვალიდებისა და 2008 წელს ომში მარჩენალდაკარგული ოჯახებისთვის გამოეყო.

აქციაზე „თავისუფალმა დემოკრატებმა“ პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებაც მოითხოვესდოლიძის განცხადე-


ვიქტორ დოლიძე

ბით, პენსიის ოდენობა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული და სასურსათო კალათისა და ცხოვრების დონის მინიმუმს შეესაბამებოდეს, რაც დღეისთვის 155 ლარს შეადგენს.

— პენსიების 7-ჯერ გაზრდის ფაქტი მხოლოდ ციფრებით მანიპულირებაა. პენსიონერი ტაჯიკეთში უფრო დაცულია, ვიდრე საქართველოში, რადგან პენსიის ზრდა კანონით არის დადგენილი და ეს პროცესი იქ 14-ჯერ განხორციელდა. ტაჯიკმა პენსიონერმა იცის, რამდენი იქნება მისი პენსია მომავალ და შემდგომ წლებში. ეს კანონით არის დადგენილი და არ წარმოადგენს წყალობას, რასაც სააკაშვილი აძლევს საკუთარ მოსახლეობას მომავალი არჩევნებისთვის ხმების მოსასყიდად, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მედიანიუსი

# კოკოითის რჩეული ანატოლი ბიბილოვი გახდა

თეა მარხვაი ე

როგორც იქნა კოკოითიმ თავისი მემკვიდრე დაასახელა. მას არჩევანი ორ კანდიდატს — გენერალურ პროკურორ თეიმურაზ ხუგაევსა და საგანგებო სიტუაციათა მინისტრ ანატოლი ბიბილოვს შორის უნდა გაეკეთებინა. ხუგაევი კოკოითის ძმის რობერტის ქვისლია, ბიბილოვს კი რუსი გენერალი სერგეი შოიგუ „კრიშავს“.

როგორც ოსური და რუსული მედია წერს, კოკოითი თითქმის ერთი თვის განმავლობაში ფიქრობდა, ვისზე გაეკეთებინა არჩევანი. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და მემკვიდრე ანატოლი ბიბილოვი გახდა, რომელიც, როგორც რუსული მედია წერს, აქამდე არსად არ ჩანდა. მის შესაძლო პრეზიდენტობაზე კი ფიქრითაც არავინ ფიქრობდა.

ოსური სააგენტოების ცნობით, ბიბილოვი საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს პუტინის პარტია „ედინსტვოს“ სახელით იყრის. „ედინსტვომ“ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად საგანგებო ყრილობა და ფარული კენჭისყრაც გამართა.

„ოსრადიოს“ ცნობით, ფარულ კენჭისყრაში 102 დელეგატი მონაწილეობდა. 72 მათგანმა მხარი ბიბილოვის კანდიდატურას დაუჭირა, 21 ხმა მის წინააღმდეგ წავიდა. 8 კანდიდატმა კი თავი შეიკავა.

გამარჯვებულმა ბიბილოვმა სამადლობელი სიტყვა ყრილობაზევე წარმოთქვა. მან პრეზიდენტ კოკოითის და ყრილობის დელეგატებს მხარდაჭერისთვის მადლობა გამოუცხადა.


ანატოლი ბიბილოვი

ბიბილოვმა „ედინსტვოს“ ტრიბუნიდან სხვა პრეზიდენტობის კანდიდატებსაც მიმართა. მან ოპონენტებს წესიერი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ეს არჩევნები მაღალ დონეზე და ბინძური ტექნოლოგიების გარეშე უნდა ჩატარდეს. ბიბილოვმა პირობა დადო, რომ თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს პროვოკაციებისა და ექსცესების თავიდან ასაცილებლად.

ამ დაპირების არც რუსულ მედიას და არც ოსურ ოპოზიციას არ სჯერა. ოპოზიციის მტკიცებით, კოკოითი ყველაფერს აკეთებს კონკურენტების ჩასაძირად.

ამ ეტაპზე მთავარი სამიზნე კოკოითის მთავარი ოპონენტი ძამბოლატ თედეევია, რომელიც ცესკოში ერთ-ერთი პირველი დარეგისტრირდა. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მისი საბუთები სამართალდამცავებმა გაიტაცეს.

როგორც გამოცემა „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ იუწყება, ცხინვალში მყოფ ძამბოლად თედეევს მიაკითხა კოკოითის დაცვის უფროსმა ელდარ გაბუევმა, რომელმაც თედეევს ცხინვალის მშვიდობიანად დატოვება ურჩია. წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო მკაცრი ზომების მიღებით დაემუქრა. ამასთან ის გაუფრთხილებიათ, რომ მას რეგისტრაციაში არავითარ შემთხვევაში არ გაატარებენ.

ამ დღეებში კი ოსმა სამართალდამცავებმა დააკავეს ვინმე თემურ თედეევი, რომელსაც „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ინფორმაციით, ვლადიკავკაზიდან ცხინვალში დოკუმენტაცია მიჰქონდა. ეს დოკუმენტები ძამბოლატ თედეევს ეკუთვნის და ცესკოში წარსადგენად იყო გამზადებული.

რუსული მედიის ცნობით, სამართალდამცავებმა დოკუმენტები შსს სამინისტროში წაიღეს. თემურ თედეევი კი დააკავეს, როკის გვირაბამდე მიიყვანეს და იქ გაათავისუფლეს.

ოსური ოპოზიცია ამ ფაქტის გამო ძალიან აღშფოთდა. აღშფოთება გამოხატეს რუსეთის დუმაშიც. თედეევის მიმართ კოკოითის დამოკიდებულების გამო თავის დროზე საპროტესტო განცხადება გააკეთა დუმის წევრმა და ლეგენდარულმა მოჭიდავემ ალექსანდრ კარელინმა.

ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ გამოთქვა პროტესტი რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მიშა მამიაშვილმა. საპროტესტო განცხადების გაკეთებას ისინი მომავალშიც აპირებენ. მამიაშვილიც, თედეევიცა და კარელინიც რუსეთში ძალიან დიდი გავლენით სარგებლობენ. კოკოითის მათთან დაპირისპირება შეიძლება ძვირი დაუჯდეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახეთის საოლქო პროკურორად პარლამენტარი გიორგი ჩივიაშვილი დაინიშნა

კახეთის საოლქო პროკურორად პარლამენტის წევრი, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ჩივიაშვილი დაინიშნა. ჩივიაშვილი მუშაობას გუშინ შეუდგა.

გიორგი ჩივიაშვილი დაიბადა 1981 წლის 3 იანვარს. სპეციალობით იურისტია. 2002-2004 წლებში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე; 2004 წლის 5 აგვისტოდან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გამომძიებლის თანამდებობაზე. 2005 წლის 22 იანვრიდან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიების სამმართველოს, მეორე განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. 2005 წლის 25 აპრილიდან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. 2005 წლის 19 ივლისიდან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გა-



გიორგი ჩივიაშვილი

მომძიებლის თანამდებობაზე. 2006 წლის 22 ივნისიდან 2008 წლის დეკემბრამდე თბილისის პროკურატურაში, განყოფილების პროკურორი იყო. 2008 წლის დეკემბრიდან 2010 წლის 26 აპრილამდე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა. 2010 წლის 30 მაისის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში, გურჯაანის საარჩევნო ოლქში, გიორგი ჩივიაშვილმა კენჭი ნაციონალური მოძრაობიდან„ იყარა და დეპუტატი გახდა.

გიორგი ჩივიაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრია. ამავე დროს ის შეწყალების კომისიის წევრიც არის. სადეპუტატო უფლებამოსილება მას ჯერ არ შეწყვეტია.

შეგახსენებთ, რომ კახეთის საოლქო პროკურორის თანამდებობა 4 ივლისიდან ვაკანტური იყო. ყოფილი პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა.

**მედიანიუსი**

# „ქართველთა მარშმა“ შეიძლება „ექვსიანი“ დაშალოს

**ნათია ხურცილავა**

ქართველი საზოგადოების ნაწილი, ასევე პოლიტიკური სპექტრი ეროვნული ფორუმის მიერ დაანონსებული „ქართული მარშის“ მოლოდინშია.

27 სექტემბრის „ქართული მარში“, შეიძლება ითქვას, უკვე იქცა ერთგვარ განხეთქილების ვაშლად ოპოზიციურ ექვსიანში.

გახდება თუ არა ეროვნული ფორუმის ინიციატივა „ექვსიანის“ დაშლის საფუძველი, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, მანამდე პარტიების უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს არის ეროვნული ფორუმის ინიციატივა და ისინი არ აპირებენ მასში მონაწილეობის მიღებას.

ეროვნული ფორუმის კოლეგა პარტიები აცხადებენ, რომ მათ ამ გზით სურთ შეამოწმონ თავიანთი ელექტორატის აქტივობა და ამ გზით შეეცდებიან ერთგვარი ძალების მობილიზება მოახდინონ. ერთი სიტყვით, პოლიტიკური სეზონი გახსნილად გამოაცხადონ.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთ ლიდერ გუბაზ სანიკიძეს კი უფრო მეტის პრეტენზია აქვს.

გუბაზ სანიკიძის განცხადებით, „ქართველთა მარში“ ქართველების გაბრაზების დღედ უნდა იქცეს იმის საწინააღმდეგოდ, რასაც დღევანდელი ხელისუფლება გვთავაზობს.

სანიკიძემ 27 სექტემბრის დაანონსების დროს განაცხადა, რომ ქართველებმა საქართველო უნდა დავიბრუნოთ და ჩვენ უნდა გავხდეთ ჩვენი ქვეყნის მასპინძლები.

ეროვნული ფორუმი 27 სექტემბერს გაბრაზებულ ქართველებს ელოდება, თუმცა, სად, რა დროს, ტექნიკური დეტალები ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, მაგრამ როგორც პრესსამსახურში აცხადებენ, დღეს ამის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდება.

კითხვაზე, საიდან შეიძლება დაიწყოს „ქართველთა მარში“, სანიკიძემ მიპასუხა, შეიძლება გალიდანაც.

როგორც ჩანს, მასშტაბურობის მოლოდინიც დიდია. რამდენი ადამიანი ჩადგება „ქართულ მარშში“, ჯერ უცნობია, მაგრამ ეროვნული ფორუმის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველთვის ახერხებდნენ დიდი რაოდენობით ელექტორატის მობილიზებას.



გუბაზ სანიკიძე

ისევ განხეთქილების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ „ქართველთა მარში“ „ექვსიანის“ განხეთქილების მიზეზი არ გახდება.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ „ექვსიანი“ პარტიების თემატური ერთობაა და მას „ქართულ მარშთან“ არავითარი საერთო არა აქვს.

გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ „ექვსიანი“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობს, შესაბამისად წარმოუდგენელია 27 სექტემბერი — „ქართული მარში“ მის ალტერნატივად იქცეს.

ეროვნულმა ფორუმმა აღნიშნული მარშის შესახებ ისე გააკეთა განცხადება, რომ კონსულტაციები ამ საკითხზე „ექვსიანს“ არ უწარმოებია. არადა, ეროვნული ფორუმი „ექვსიანის“ ერთ-ერთი აქტიური წევრია.

უკვე ცნობილია, „ექვსიანი“ 27 სექტემბერს არ აპირებს, რომ შეუერთდეს „ქართულ მარშს“.

კონსერვატიული პარტია „ექვსიანის“ ერთ-ერთი წევრია. კონსერვატორების ლიდერი ზვიად ძიძიგური ეროვნული ფორუმის გადაწყვეტილებას მოულოდნელ სიურპრიზს უწოდებს „ექვსიანში“ შემავალი პარტიებისთვის.

— ფორუმის გადაწყვეტილება „ქართველთა მარშის“ შესახებ ჩვენ გავიგეთ მედიის საშუალებით, ეს არის მათი საქმე და ჩვენ ამას ერთმანეთს არ ვუზღუდავთ, მაგრამ მივიჩნევ, რომ ასეთი ტიპის ღონისძიებების ცალ-ცალკე ჩატარებით ჩვენ დავაბნევთ საზოგადოებას, ამიტომ უკვე დროა გაირკვეს, რა ფორმით აპირებს პოლიტიკური „ექვსიანი“ საქმიანობის გაგრძელებას და როგორ ჩარჩოებში უნდა იყოს მათი მოქმედებები მოქცეული, — განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუს“ ზვიად ძიძიგურმა.

ძიძიგური აცხადებს, რომ ვერის საკალათბურთო დარბაზში „ექვსიანმა“ ერთობლივად მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება საარჩევნო გარემოს გარდა, საარსებო გარემოზეც იმუშავებდა. დღეს კი კითხვები, რომელიც საზოგადოებას აქვს ეროვნული ფორუმის ინიციატივასთან დაკავშირებთი, პასუხებს და გარკვევას მოითხოვს.

ზვიად ძიძიგური ამბობს, თუ ექვსიანში ერთობის სურვილი აღარ არის, მაშინ ამის შესახებ უნდა ეცნობოს საზოგადოებას.

# ვინ შეცვლის ნიკა გილაურს

**ნანა მიშელაშვილი**

მთავრობაში სულ მალე საკადრო ცვლილებები განხორციელდება. კულუარული ინფორმაციით, ერთ კვირაში მინისტრთა კაბინეტი განახლდება და რამდენიმე მინისტრი პოსტის გარეშე დარჩება. საუბრობენ იმაზე, რომ პრემიერი გილაური თანამდებობას დატოვებს.

პრემიერ გილაურს, ერთ-ერთი ვერსიით, ვერა ქობალია შეცვლის, მეორე ვერსიით კი — დიმიტრი შაშკინი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები სამთავრობო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ეს არც არის გასაკვირი. მმართველი პარტიის წევრების დიდი ნაწილი სამთავრობო ცვლილებების შესახებ ინფორმირებული წინასწარ არ არიან. უმრავლესობიდან ერთი-ორი ადამიანი თუ ფლობს წინასწარ ინფორმაციას საკადრო გადაადგილებაზე, დანარჩენები კი სამთავრობო ცვლილებებს, ძირითადად მოგვიანებით იგებენ.

საპარლამენტო კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ დიმიტრი შაშკინის ბოლოდროინდელი გააქტიურება შემთხვევითი არ არის. დღე ისე არ გავა, რომ განათლების მინისტრის მონაწილეობით რაიმე ღონისძიება არ ჩატარდეს და სათანადოდ არ გაშუქდეს. შაშკინის მინისტრობის პერიოდს უკავშირდება სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის დანერგვა, რაც ამჟამად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად ითვლება.

შაშკინის სახელთან სხვა რეფორმებიც არის დაკავშირებული, რომლითაც ხელისუფლება ასე ამაყობს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელსაც პრეზიდენტი ესწრებოდა, შაშკინი გააკრიტიკეს. ეს დირექტორებთან დაკავშირებით მოხდა და ამ ფაქტს კარგა ხნის წინ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს ამბავი არ გახმაურებულა.



ნიკა გილაური

კულუარებში ამბობენ, რომ პრეზიდენტმა შაშკინს უკვე შესთავაზა პრემიერის სავარძელი. მეორე ვერსიით კი პრეზიდენტი პრემიერის თანამდებობაზე ვერა ქობალიას წარადგენს.

მინისტრთა კაბინეტში ვერა ქობალიას გამოჩენისთანავე გაჩნდა მოსაზრება, რომ ქობალიას ცოტა ხანში უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშნავდნენ და პრემიერის სავარძელს შესთავაზებდნენ. ამ მითქმა-მოთქმას წერტილი იმ დროს დაესმება, როდესაც მინისტრთა კაბინეტი გადახალისდება.

მინისტრთა კაბინეტში ახალი სახეების გამოჩენაც არის მოსალოდნელი. კერძოდ, თანამდებობის გარეშე დარჩენა ემუქრება ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანს.

კობა სუბელიანის მოხსნა ყველაზე მეტად იმ დევნილებს გაახარებს, ვინც სუბელიანის საქმიანობით უკმაყოფილოა. ასეთები კი საკმაოდ ბევრია.

ქვეყანაში, სადაც ამდენი დევნილია, მათი პრობლემების მოგვარება საკმაოდ რთულია. სუბელიანს კი დევნილთა ერთი ნაწილი იმის გამო აკრიტიკებს, რომ მას კომუნიკაციის პრობლემა აქვს.

## დატრიალდება თუ არა მორიგი სამთავრობო კარუსელი

ერთ-ერთმა დევნილმა ოპოზიციასთან ბოლო შეხვედრაზე ისიც თქვა, რომ მათთან მისულმა სუბელიანმა დევნილებს უთხრა, რომ ნერვებს ნუ უშლიან. ამ დევნილმა მინისტრს სიტყვა შეუბრუნა და უთხრა, რომ ნერვები მათ არ ეშლებათ, ამდენი წელია დევნილობაში იმყოფებიან და სუბელიანს რა უშლის ნერვებს?

კარგა ხნის წინ ამბობდნენ, რომ დევნილთა მინისტრის სავარძელი შსს-ს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს სოსო ქარჩაიძეს შესთავაზეს, რომელმაც ამ პოსტზე უარი თქვა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ქარჩაიძემ მოითხოვა, სამინისტროს მუშაობა ჯერ კონტროლის პალატას შეემოწმებინა და შემდეგ იფიქრებდა ამ პოსტზე წასვლა-არწასვლაზე. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, ძნელი სათქმელია, თუმცა, ფაქტია, რომ დევნილთა მომავალ მინისტრად ამ დრომდე სხვა გვარი არ სახელდება.

რამდენიმე ხნის წინ პრესაში გაჩნდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომ შესაძლოა ბაჩო ახალაია სხვა ამპლუაში ვიხილოთ და თავდაცვის მინისტრის სავარძლიდან სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პოსტზე აღმოჩნდეს.

ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ გუბერნატორ გოროზიას საკმაოდ ბევრი მომდურავი ჰყავს და შესაძლოა ხელისუფლებამ მისი სამეგრელოდან „გამოწვევის“ გადაწყვეტილება მიიღოს.

კიდევ ერთი სიახლე, რაც მოსალოდნელია, შეეხება სამინისტროების თბილისიდან სხვადასხვა ქალაქში გადატანას.

ერთ-ერთი ინფორმაციით, გორში ორი სამინისტროს გადატანა იგეგმება. კერძოდ, საუბარია თავდაცვის სამინისტროსა და დევნილთა სამინისტროს გორში განთავსებაზე. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ამ უწყების გადატანა ყვარელში იგეგმება.

სამინისტროების გარდა, უკვე გადაწყვეტილია, რომ ქუთაისში მთავრობის წარმომადგენლობაც აშენდება. ასე რომ, თბილისში სავარაუდოდ, მხოლოდ რამდენიმე სამინისტრო და მთავრობის კანცელარია დარჩება. საკანონმდებლო ორგანო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი კი ქუთაისსა და რამდენიმე ქალაქში განლაგდება.

# ოპოზიციას საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების არ სჯერა

**ნანა მიშელაშვილი**

პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისთვის ემზადება. ეს ცვლილებები დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდას შეეხება.

საკონსტიტუციო ცვლილებები მას შემდეგ განხორციელდება, რაც „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისია საკუთარ მოსაზრებებს დააფიქსირებს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის წარმომადგენლები საქართველოს ოქტომბრის ბოლოს ესტუმრებიან და წარადგენენ საკუთარ რეკომენდაციებს „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებთან დაკავშირებით. ყველაზე ავტორიტეტულ ორგანიზაციას ცვლილებების პროექტი 26 აგვისტოს გადაეგზავნა.

სავარაუდოდ, ვენეციის კომისიას არაფერი ექნება საწინააღმდეგო დეპუტათა რაოდენობის გაზრდაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის დროზე დეპუტატთა რაოდენობის 150-მდე შემცირება რეფერენდუმის გადაწყვეტილების შედეგად მოხდა. ახლა ქვეყანა ამავე გზას არ მიმართავს და დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა საკონსტიტუციო ცვლილების საშუალებით მოხდება.

190-წევრიან პარლამენტში 83 მაჟორიტარი იქნება, ხოლო 107 დეპუტატი პროპორციული წესით აირჩევა.

მას შემდეგ, რაც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის ექსპერტები კომპეტენტურ მოსაზრებას დააფიქსირებენ, პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მოიცლის.

რაც შეეხება „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებს, ის გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე იქნა ინიცირებული. ცვლილებების პროექტი, პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ალასანიას პარტიის წარმომადგენელი, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტში ინიცირებულ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტს ფარსს უწოდებს და აცხადებს, ის ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციის მიერ, საზოგადოების ზურგს უკან შემუშავდა და შეთანხმდა.

ოპოზიციური „ექვსიანი“ პარლამენტში საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ალტერნატიულ პროექტს წარადგენს.

ჟურნალისტებთან საუბრისას ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე, გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მათ მიერ ან პროექტად იქნება წარდგენილი, ან უკვე ინიცირებული პროექტის ალტერნატიულ წინადადებებად.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე მუშაობა თითქმის ერთი წლის წინ დაიწყო. რამდენიმე თვის წინ კი, მთელ რიგ საკითხებზე ხელისუფლება და რამდენიმე ოპოზიციური პარტია შეთანხმდა.

ექვსი ოპოზიციური პარტია ამ პროცესს გაემიჯნა და ოპოზიციური ექვსიანი ჩამოაყალიბა, რომლის ლიდერად ირაკლი ალასანია მიიჩნევა. ექვსიანისთვის ის საკითხები მიუღებელი აღმოჩნდა, რასაც ოპოზიციის ნაწილმა ხელისუფლებასთან ერთად ხელი მოაწერა.

პარლამენტში საარჩევნო კოდექსის პროექტის ინიცირების პარალელურად, მუშაობას ახალ საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფიც განაახლებს. ჯგუფის შეხვედრა პარლამენტში, 22 სექტემბერს გაიმართება.

სახელისუფლებო გუნდი და ოპოზიციის ერთი ნაწილი პოზიციების შეჯერებას ჯერ კიდევ ღიად დარჩენილ საკითხებთან დაკავშირებით შეეცდება. გარდა ამისა, როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი აცხადებს, დარჩენილია კიდევ რამდენიმე ტექნიკური საკითხი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს.

შედით საიტზე atb.ge

„%!!

# დაკავება 17 წლის შემდეგ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, წელს რვა თვის განმავლობაში მძევლად ხელში ჩაგდების 4 ფაქტი დაფიქსირდა (აქედან 2 დანაშაული გახსნილია), განზრახ მკვლელობის 81 ფაქტი მოხდა (51 გახსნილია). თუმცა 2011 წლის მიმდინარე დანაშაულებთან ერთად, მერაბიშვილის უწყება წლების წინ მომხდარი მსგავსი ფაქტების ძიებასაც განაგრძობს. პერიოდულად, უკვე კარგა ხნის მტვერდადებული საქმეები ახალ მსვლელობას იძენს და დამნაშავეებსაც აკავებენ. რამდენიმე დღის წინ შსს-მ სწორედ ერთი ასეთი საქმის დეტალები გაამხილა.



გიორგი ოთარაშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა წლების წინ სისასტიკით გამორჩეული ერთ-ერთი დამნაშავეთა დაჯგუფების წევრები დააკავეს.

— მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტისა და შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, 90-იან წლებში საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე საშიში დანაშაულებრივი დაჯგუფება გამოვლინდა, — აცხადებენ შსს-ში.

ოფიციალური ინფორმაციით, ჯგუფის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვახტანგ გვრიტიშვილი იყო, ჯგუფში კი შედიოდნენ მისი ძმა კობა გვრიტიშვილი, გიორგი ოთარაშვილი, გელა ქავთარაძე, რევაზ დემეტრაშვილი, ალექსანდრე რევაზიშვილი და აწ გარდაცვლილი მალხაზ მოდებაძე.

თავად დაკავებულები თავიანთ ჩვენებებში ყვებიან, რომ „ცეხავიკის", ნეშან მინასიანის შვილი ამოიღეს მიზანში. ნეშან მინასიანის ოჯახი მატერიალურად მართლაც შეძლებული იყო. ბანდის წევრებმა 1994 წლის 18 იანვარს მისი ვაჟი, 19 წლის ვაზგენ მინასიანი მოიტაცეს, ახლობლებს კი გამოსასყიდის სახით 150 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. მსხვერპლი 10 დღის განმავლობაში ჯერ ორმოში, შემდეგ კი დიღომში მდებარე ერთ-ერთ სახლში ჰყავდათ დამალული. მას შემდეგ, რაც ოჯახმა 15 000 აშშ დოლარი გადაიხადა, ვაზგენ მინასიანი გაათავისუფლეს და მინასიანებისაგან მიიღეს პირობა, რომ დარჩენილ თანხას უახლოეს დღეებში გადაუხდიდნენ. შემდგომში, იმ მიზნით, რომ გატაცების ფაქტი არ გახმაურებულიყო, ჯგუფის წევრებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლეს ნეშან მინასიანი, მისი მეუღლე ფლორა მინასიანი და ვაჟი ვაზგენ მინასიანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ დღესდღეობით დაკავებული არიან დაჯგუფების წევრები: გიორგი ოთარაშვილი, ლევან კიკაბიძე, რევაზ დემეტრაშვილი და ალექსანდრე რევაზიშვილი. კობა და ვახტანგ გვრიტიშვილებზე კი ძებნაა გამოცხადებული.

## სამი ადამიანი დახოცეს და სახლიდან ვიდეომაგნიტოფონი გაიტაცეს

ერთ-ერთი დაკავებული, გიორგი ოთარაშვილი თავის ჩვენებაში დეტალურად ყვება, თუ როგორ ჩაიდინეს ეს სასტიკი დანაშაული:

— მე და ჩემმა მეგობრებმა ვაზგენ მინასიანის გატაცება გადავწყვიტეთ, რომელიც საქმოსნის შვილი იყო და ვიცოდით, რომ მათ გარკვეული თანხა ჰქონდათ ოჯახში.

გატაცებაში მონაწილე რეზო დემეტრაშვილი ამ დროისათვის პოლიციელი იყო და ქალაქის მთავარ სამმართველოში მუშაობდა. დემეტრაშვილმა, როგორც პოლიციელმა, ქუჩაში ვაზგენ მინასიანს ავტომობილი გააჩერებინა. ვაზგენი მანქანაში გადმოვისვით და ასე გავიტაცეთ.

ოჯახს რომ მივმართეთ თანხის გამოსაძალად, რაღაც პეროდის მერე მამამისმა თანხის ნაწილი მოიტანა, 15 ათას დოლარამდე და დანარჩენის მოტანას დაგვპირდა. ვაზგენის გაშვება გადავწყვიტეთ, მაგრამ მერე გავიგეთ, რომ მინასიანების ოჯახისთვის ჩვენი ვინაობა გახდა ცნობილი. ამის გამო, მე, გვრიტიშვილები, ქავთარაძე და მოდებაძე შევიკრიბეთ და ამ ოჯახის ლიკვიდაცია დავგეგმეთ. რეზო დემეტრაშვილის ავტომანქანით მინასიანების სახლთან მივედით. მალხაზ მოდებაძეს ავტომატი ჰქონდა, ნუკრი გვრიტიშვილს კი — ნაგანი. სახლში რომ შევედით, ჯერ ყაჩაღობის ინსცენირება მოვაწყვეთ. დავიფანტეთ, მე შემოსასვლელში დავრჩი. ოჯახის ყველა წევრი, მათ შორის ბავშვები ერთ ოთახში იყნენ გამოკეტილი. მე გარეთ მესმოდა, ჩემი მეგობრები მათგან ფულს და ძვირფასეულობას რომ ითხოვდნენ. დაახლოებით 15 წუთში რამდენიმე გასროლის ხმა გაისმა, ოთახიდან მალხაზ მოდებაძე და ნუკრი გვრიტიშვილი გამოვარდნენ, გვრიტიშვილმა თქვა, დავხოცე და წავედითო. სახლიდან ვიდეომაგნიტოფონი და რამდენიმე ქურთუკი გავიყოლეთ და უბანში დავბრუნდით.

სამართალდამცავებს დანარჩენი დაკავებულების ანალოგიური ჩვენებებიც აქვთ, თითოეულმა მათგანმა დეტალურად აღწერა, თუ როგორ მოკლეს სამი ადამიანი. არსებობს მინასიანების ოჯახის გადარჩენილი წევრების ჩვენებებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს ერთადერთი დანაშაული არ არის, რომელიც ამ დაჯგუფების წევრებმა ჩაიდინეს და გამოძიება აქტიურად მუშაობს ჯგუფის მიერ ჩადენილი სხვა უმძიმესი დანაშაულების გასახსნელად.

**შალვა ჯოხა ე**

# ნარკოდანაშაულისთვის 27 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ამინა იაგუბოვას 27 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. 54 წლის აზერბაიჯანის მოქალაქეს ბრალად ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონო შემოტანა.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულმა 2011 წლის 19 ივნისს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, სასაზღვრო გამშვები პუნქტი წითელი ხიდის გავლით, საქართველოში უკანონოდ შემოიტანა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი

განსაკუთრებით დიდი ოდენობა 2.0715 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბრალდებული იმავე დღეს, ნინოშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით 2.0715 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი".

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა მისი ბრალეულობა დადასტურებულ იქნა პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით,საზღვარზე მოძრაობის ინტენსივობის დამადასტურებელი დოკუმენტით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. თბილისის საქალაქო სასამართლომ ამინა იაგუბოვას დანაშაულთა ერთობლიობით 27 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

**მედიანიუსი**

# გიორგი ტუღუში მთავარი პროკურორისგან გამოძიების დაწყებას ითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში წინადადებით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება ქუთაისში მიმდინარე მუშათა საპროტესტო აქციის დროს სამართალდამცავთა მიერ 2011 წლის 13 და 15 სექტემბერს განხორციელებული ქმედებების თაობაზე და შეისწავლონ გაფიცულ მუშათათვის აქციის ჩატარებისას სამართალდამცავთა მხრიდან ხელის შეშლის, აქციის დაშლისა და მათი დაკავების ფაქტები.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, სახალხო დამცველმა შეისწავლა ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულესის" მიმდებარე ტერიტორიაზე მუშათა გაფიცვის დაშლის ფაქტი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს თავად აქციის მონაწილეებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს, რომელიც ახორციელებდა გაფიცულთა იურიდიულ დახმარებას და საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტს, თამაზ დოლაბერიძეს. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, საქმეზე არსებული გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სცადეს ქარხანა „ჰერკულესის" ადმინისტრაციასთან შეხვედრა და მათგან ზემოაღნიშნულ ინციდენტებზე ახსნა განმარტების მოპოვება, თუმცა ქარხნის ადმინისტრაციამ შეხვედრასა და ახსნა განმარტების მიცემაზე უარი განაცხადა.

მოპოვებული ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ ქარხანაში არსებული შრომის მძიმე პირობების გამოსწორების მოთხოვნით, დასაქმებულებმა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაფიცვა დაიწყეს. რამდენიმე მათგანმა პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას მიმართა. გაფიცვის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინციდენტს, რომლის დროსაც დაირღვა გაფიცვის მონაწილეთა უფლებები.

კერძოდ, 2011 წლის 13 სექტემბერს აქციის მიმდინარეობისას აქციის მონაწილეებმა დადგეს კარავი.

კარვის დადგმიდან რამდენიმე წუთში ადგილზე მივიდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები.

მათ გაფიცულებს კარვის აღება მოსთხოვეს. სამართალდამცავებმა კარავი დაშალეს და პოლიციის ავტომანქანაში მოათავსეს. მოგვიანებით, 10-15 წუთში, სამართალდამცავებმა კარავი მფლობელებს დაუბრუნეს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ გაფიცვა გაგრძელდა, თუმცა გაფიცულთა განმარტებით, მათ კარვის დადგმა აღარ უცდიათ.

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებისა და საინფორმაციო საშულებების მიერ გავრცელებული კადრების თანახმად, არც აქციის მიმდინარეობისას და არც კარვის დადგმის დროს არ



გიორგი ტუღუში

მომხდარა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

რაც შეეხება 2011 წლის 15 სექტემბერს განვითარებულ მოვლენებს, საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიცემული ახსნა-განმარტებების თანახმად, დაახლოებით 21:30 საათზე, აქციის მიმდინარეობის ადგილზე მივიდა საპატრულო პოლიციის დაახლოებით 30 ეკიპაჟი. პოლიციის თანამშრომლებმა მოითხოვეს აქციის დაშლა და დააკავეს აქციის მონაწილეთა ნაწილი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატის, რევაზ თოფურიას ახსნა-განმარტების თანახმად, ის თამაზ დოლაბერიძესთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდა დაკავებულებს ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში და პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებში, თუმცა დაკავებულებთან შეხვედრა მხოლოდ მათი გათავისუფლების შემდგომ მოახერხა. ადვოკატისა და აქციის მონაწილეთა ახსნა-განმარტებების თანახმად, აქციის მონაწილეები რამდენიმე საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოში, სადაც მათ დააწერინეს ხელწერილები იმის თაობაზე, რომ დასაქმებულები აღარ გააგრძელებდნენ გაფიცვაში მონაწილეობას და დაუბრუნდებოდნენ სამსახურს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებდნენ კანონით დადგენილი წესით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებული აქციის მონაწილეებიდან მხოლოდ სამმა პირმა განაცხადა თანხმობა ახსნა განმარტება მიეცა საქართველოს სახალხო დამცველისთვის, მათი ვინაობის კონფიდენციალურად დატოვების პირობით, ხოლო დანარჩენებმა აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ ზეპირი საუბრისას დაადასტურეს.

— ჩვენს ხელთ არსებული ახსნა-განმარტებების თანახმად, არც დაკავებისას და არც მის შემდგომ სამართალდამცავთა მხრიდან არ მომხდარა აქციის მონაწილეთათვის მათი დაკავების საფუძვლის განმარტება, ამასთან, მათი პოლიციის შენობაში ყოფნის პერიოდში ე.წ ხელწერილების გარდა არ შემდგარა არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი, — აცხადებს სახალხო დამცველი.

**მედიანიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: ტიმოშენკოსათვის გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, უკრაინის ხელისუფლებას დიდი პოლიტიკური საფასურის გადახდა მოუწევს

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის სასამართლო ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინიტრს იულია ტიმოშენკოს დამადანაშაულებელ განაჩენს გამოიტანს, უკრაინის ხელისუფლებას ამისათვის ძალიან დიდ პოლიტიკურ საფასურის გადახდა მოუწევს. ამის შეახებ „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ უკრაინულ გამოცემა ლბ.უა-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.



ნინო ბურჯანაძე

— მე და იულიას გვქონდა და გვაქვს თბილი, მეგობრული ურთიერთობები, მაგრამ ყოფილი-პრემიერის რანგის პოლიტიკოსთან ასე მოქცევა არ შეიძლება. ეს არ შეშვენის უკრაინის ხელისუფლებას. მე ვამბობ ხელისუფლებას, რადგან საეჭვოა, რომ თავად სამართალდამცავმა ორგანიებმა დამოუკიდებლად გარისკეს მსგავსი გადაწყვეტყილების მიღება, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# სოდ-ის მიერ დაკავებულ შორენა ხანგოშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს



შორენა ხანგოშვილი

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ სოდ-ს მიერ დაკავებულ შორენა ხანგოშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „მედიანიუსს" თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადეს, ყოფილ ჟურნალისტს და პედაგოგს შორენა ხანგოშვილს ბრალად ედება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გაგზავნა ან გასაღება (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ხანგოშვილს შვიდიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ხანგოშვილის სასამართლო სხდომა 27 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი ჟურნალისტი და ამჟამად პედაგოგი შორენა ხანგოშვილი სოდ-ის თანამშრომლებმა 16 სექტემბერს, ახმეტაში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. შორენა ხანგოშვილი პანკისიდან ახმეტაში საზღვარგარეთის პასპორტის ასაღებად იყო ჩასული. ის როდი სკოტის„ ფონდის თანამშრომელია და ხეობაში ბავშვებს ინგლისურს ასწავლიდა. ფონდის ხელშეწყობით, შორენა უცხოეთში სტაჟირებაზე წასვლას ფიქრობდა.

როდი სკოტი ინგლისელი ჟურნალისტი იყო. იგი ჩეჩნეთში მოკლეს. პანკისის ხეობაში კი ჟურნალისტის სახელობის ფონდი მისმა მშობლებმა დააარსეს.

შორენა ხანგოშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, პანკისის ხეობაში გუშინწინ საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაში 300-მდე ადამიანი მონაწილეობდა. პანკისის ხეობის მაცხოვრებლები გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ და საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებას სთხოვენ. სოფელ დუისის მაცხოვრებლები კატეგორიულად გამორიცხავენ, რომ დაკავებულს დანაშაულთან რაიმე კავშირი აქვს.

შორენა ხანგოშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, სოფელ დუისში, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, საპროტესტო აქცია დღესაც გაიმართა

**მედიანიუსი**

# საქართველოს ინტერპოლის გენერალური მდივანი ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების გაცნობის მიზნით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ინტერპოლის გენერალური მდივანი — რონალდ ნოუბლი იმყოფება.

როგორც „მედიანიუსს" შს სამინისტროდან აცნობეს, გენერალურმა მდივანმა პოლიციის აკადემია და ახალაშენებული პოლიციის შენობები მოინახულა. ასევე ვიზიტის ფარგლებში გაეცნო შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მუშაობას და შეხვდა შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მერაბიშვილს.

## კახეთის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი დავით ქოქიაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ქოქიაშვილი მუშაობას შსს-ს ერთ-ერთ სტრუქტურაში გააგრძელებს, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

კახეთის პოლიციის უფროსად კახა გიგოლაშვილი დაინიშნა. იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის IV სამმართველოს უფროსად მუშაობდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, გიგოლაშვილი ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ნარკოტიკების გავრცელებასა და დანაშაულის სხვა საშიშ სახეებთან ბრძოლის სუამის ეროვნული უწყებათაშორისი ჯგუფის წევრიც იყო.

**მედიანიუსი**

## ელიას მთაზე მდებარე ეკლესიაში სალოცავად მისული მამაკაცი დაიღუპა

დედოფლისწყაროში 45 წლის ზურა ლ-შვილი ელიას მთიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ელიას მთაზე მდებარე ეკლესიაში სალოცავად იყო მისული.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსის ხათუნა ზურიკაშვილის თქმით, ექიმების ადგილზე მისვლის დროს მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

**მედიანიუსი**

## იაპონიის სარკინიგზო კომპანიის პრეზიდენტმა თავი მოიკლა

იაპონიის მსხვილი სარკინიგზო კომპანიის პრეზიდენტმა თავი მოიკლა.

როგორც იაპონური მედია იუწყება, ის ძალიან განიცდიდა ამ ბოლო დროს მომხდარი სარკინიგზო ავარის გამო მგზავრების დაზარალების ფაქტს. ბოლო თვეების მანძილზე სარკინიგზო კომპანიის პრეზიდენტი უსაფრთხოების ახალ პროგრამაზე თავდაუზოგავად მუშაობდა. გასულ კვირას იგი მოულოდნელად გაქრა; რამდენიმე დღეში კი ცნობილი გახდა, რომ იაპონელმა თავი მოიკლა.

**ინტერპრესნიუსი**

# სააკაშვილი გაეროში გამოსვლისთვის ემზადება

**ნათია ხურცილავა**


მიხეილ სააკაშვილი

22 სექტემბერს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვა. პრეზიდენტის გამოსვლას 90 ქვეყნის სახელმწიფოს პირველი პირი დაესწრება. პრეზიდენტის გაეროში სიტყვით გამოსვლის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გაავრცელა ინფორმაცია.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის მთავარი სათქმელი ის რეფორმები იქნება, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში გატარდა.

სააკაშვილი გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების მიმართულებით გაეროს ტრიბუნიდან რამდენიმე ახალ ინიციატივასაც გააჟღერებს.

გაეროს რიგით 66-ე სესიის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილს რამდენიმე ათეული შეხვედრაც აქვს დაგეგმლი.

სააკაშვილი პირისპირ შეხვედრას გამართავს გაეროს გენერალურ მდივანთან და სხვადასხვა ქვეყნის ლიდერთან. საქართველოს დელეგაცია, რომელიც გაეროში 66-ე სესიაზე მიიღებს მონაწილეობას, 80-მდე შეხვედრას გამართავს.

საქართველოს ელჩი გაეროში კახა ლომაია აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას არსებობს მოლოდინი იმ პროცესების მიმართ, რომელიც დემოკრატიის განვითარებას და ეკონომიკურ წინსვლას ეხება ქვეყანაში.

— გაეროში წლის მთავარი პოლიტიკური გამოსვლაა. დაახლოებით 90 სახელმწიფოს მეთაური იყრის თავს ნიუ-იორკში, ყველა ლიდერი ცდილობს, რომ ეს ტრიბუნა გამოიყენოს ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივების გასახმოვანებლად. არსებობს მოლოდინი, რომ საქართველოს პრეზიდენტის სიტყვაშიც იქნება ელემენტები, როგორც გლობალური განვითარების, რეგიონული მოვლენების, რეგიონული დინამიკის ასახვის, ასევე საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების, — განაცხადა საქართველოს ელჩმა გაეროში.

20 სექტემბერს გაეროში შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის პრეზიდენტები ოფიცალურად გაახმოვანებენ მათ ახალ ინიციატივას.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ახსნა, ახალი ინიციატივა „ღია მმართველობის პარტნიორობა“-ს ეხება, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლების მართვის პროცესში საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის უფრო აქტიურ ჩართულობას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის პრეზიდენტების ინიციატივას შეერთების შესახებ თხოვნის წერილი ამერიკის შეეთრებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას.

### რა ინიციატივებს გაახმოვანებს სააკაშვილი

ნინო კალანდაძის განცხადებით, უკვე შეუერთდა გასულ კვირას საქართველო აღნიშნულ ინიციატივას. 20 სექტემბერს აღნიშნული ინიციატივის პრეზენტაციას დაესწრება საქართველოს პრეზიდენტიც, რომელიც სპეციალური მიწვევით იქნება.

— ჩვენ შევუერთდით ამ ინიციატივას იმდენად, რამდენადაც მივიჩნევთ, რომ შესაბამისი მოწვევა საქართველომ მიიღო სწორედ თავის დემოკრატიულ წარმატებებზე დაყრდნობით, რადგანაც რეგიონში მოწინავე ქვეყანაა დემოკრატიული რეფორმების გატარების თვალსაზრისით. ამ ინიციატივას საქართველოს მთავრობა გასულ კვირას ოფიციალურად მიუერთდა. შესაბამისად იქნა პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ მიწვეული საქართველოს პრეზიდენტი ამ ინიციატივის საზეიმო გახსნაზე, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ასევე ცნობილი გახდა, რომ 22 სექტემბერს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტის მე-11 სხდომა გაიმართება.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, შეხვედრა აღნიშნული ფორმატით წელიწადში ორჯერ იმართება.

შეხვედრაზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხები განიხილება. მხარეები განიხილავენ სამეზობლო პოლიტიკას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის შესახებაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ქართული მხარიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საკითხს.

კალანდაძის თქმით, შეხვედრის შემდეგ ევროკავშირის წარმომადგენლები საქართველოს შესახებ შესაბამის დასკვნას მოამზადებენ.

ნინო კალანდაძის განცხადებით, საქართველო დაინტერესებულია, რომ რუსეთი წლის ბოლომდე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდეს.

— საქართველო მთელ რიგ სახელმწიფოებთან ერთად დაინტერესებულია, რომ რუსეთი წლის ბოლომდე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდეს.

კალანდაძის თქმით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას უნდა, რომ რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები ცივილიზებულ ჩარჩოებში მოაქციოს და რუსეთი ცივილიზებული მოთამაშე გახდეს საერთაშორისო ბაზარზე.

— ცნობილია, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებს დაინტერესება აქვთ, რომ რუსეთი რაც შეიძლება სწრაფად გაწევრიანდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ეს მოხდეს წლის ბოლომდე. მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც შესწევს უნარი, რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები ცივილიზებულ ჩარჩოებში მოაქციოს და, შესაბამისად, ცივილიზებული მოთამაშე გახადოს საერთაშორისო ურთიერთობებში, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესაძლებლობები და ალბათობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კონსტრუქციული იქნება რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებებში და რამდენად შეეძლება, რომ კომპრომისზე წავიდეს.

ისევ აქტუალურია ვიკილიქსის მასალები. ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარის

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# “ბილაინმა“ სრულად მოიცვა სვანეთი

## კომპანიამ სვანეთის დაფარვა “ფრანის“ კონცერტით აღნიშნა

***როგორც ბილაინის წარმომადგენელმა განაცხადა, კომპანიას მრავალიგზის ჰქონდა მიღებული თხოვნა – სვანეთშიც ჰქონოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ “ბილაინის“ მომსახურებით. ამასთანავე, კომპანიის ერთ-ერთი დევიზია, რომ ბილაინი იყოს ყველგან საქართველოში – სადაც ტურიზმია. დღეისთვის სვანებისა და დევიზის მოთხოვნები ფაქტობრივად სრულადაა დაკმაყოფილებული – გარდა იმისა, რომ “ბილაინის“ დაფარვის ზონა ვრცელდება საქართველოს აბსოლუტურად ყველა დიდ ქალაქზე, ტრასებსა და რაიონულ ცენტრებში უკვე მთლიანად დაფარულია სვანეთიც.***



სვანეთის რეგიონის სრულ დაფარვასთან დაკავშირებით, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მესტიის მოედანზე მუსიკალური ჯგუფის “ფრანის“ კონცერტი გაიმართა. მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იყო, ჯგუფი კი მსმენელის წინაშე განახლებული პროგრამით წარდგა. ადგილობრივებისა და უამრავი ტურისტის გარდა, კონცერტს “ბილაინის“ აქციის ის გამარჯვებულიც დაესწრო სამ მეგობართან ერთად, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში “ბილაინის“ ქსელში ყველაზე მეტი ადამიანი გადააპორტირა. კონცერტის მსვლელობის პარალელურად ჩატარდა კონკურსებიც, რომლის გამარჯვებულებსაც “ბილაინის“ ტელეფონები გადაეცათ.

“ბილაინის“ დაფარვის ზონის სვანეთზე გავრცელებაც მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც სვანეთში ცხოვრობს, ან თუნდაც მცირე დროით სტუმრობს იქაურობას.

სვანეთის დაფარვის აღსანიშნავი კონცერტი 15 სექტემბერს მიზნობრივად დაამთხვიეს კომპანიის წარმომადგენლებმა. მათ მოსწავლეებს სწავლის დაწყება მიულოცეს და კონცერტზე მისული ბავშვები სასკოლო ნივთებით დაასაჩუქრეს. ამასთანავე, კომპანიამ სასკოლო ინვენტარი ჩაუტანა სვანეთის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს.

**ანდრეი პიატახინი, “ბილაინის“ გენერალური დირექტორი:**

– “როგორც გვჩვევია, კომპანიამ შეასრულა პირობა, რომელიც წლის დასაწყისში მომხმარებლებს მისცა და სვანეთშიც გავმართეთ ქსელი.

მოგეხსენებათ, “ბილაინის“ ძირითად ამოცანას დაფარვის ზონის გაფართოება წარმოადგენს. კერძოდ, კომპანიას დასახული აქვს, 2011 წლის ბოლოსთვის დაფარვის ზონა მაქსიმალურად მიუახლოვდეს სრულყოფილს. ამავდროულად, ქვეყნის ტურისტული მიმართულებების განსაკუთრებული გააქტიურების ფონზე, “ბილაინი“ ცდილობს, რომ საუკეთესო ხარისხის დაფარვის ზონა შესთავაზოს აბონენტებს, იქ, სადაც ტურისტული ნაკადი საგრძნობლად გაიზარდა. ვფიქრობ, ამით ყველა კმაყოფილი იქნება, რადგან მომხმარბელი ბილაინისგან ყოველთვის მიიღებს სრულყოფილ მომსახურებასა და საუკეთესო ტარიფებს.“

**თეონა ბაღდავაძე, “ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი:**

– „15 სექტემბერს კონცერტი შეგნებულად დავამთხვიეთ, რადგან გვსურდა, ბავშვებისთვის ახალი სასწავლო წლის დაწყება მიგველოცა. ვფიქრობ, ყველა კმაყოფილი დარჩა, როგორც პატარები, ისე უფროსები. რაც მთავარია, “ბილაინმა“ სვანეთი მთლიანად დაფარა და იდეალურადაა აქ წარმოდგენილი. განსაკუთრებით მოხარულები ვართ იმის გამოც, რომ ადგილობრივები ჩვენს ქსელში დაუფიქრებლად გადმოვიდნენ, რათა დარეკვა ყველაზე ხელსაყრელი ტარიფებით შეძლონ. მიღებული გვქონდა არაერთი თხოვნა, რომ “ბილაინის“ მომსახურება სვანეთშიც ყოფილიყო შესაძლებელი და ჩვენს მომხმარებლებს ეს თხოვნა შევუსრულეთ. “ბილაინი“ ქსელი გაფართოებას მომავალშიც განაგრძობს და ამ მხრივ მიმდინარე წლის ბოლომდე კიდევ ბევრ სიახლეს შევთავაზებთ მომხმარებლებს.“

როგორც კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ “ბილაინის“ უკვე კარგად ცნობილი აქცია “ნათელი ფერები ბავშვებს“ სვანეთში ბილაინის ოფისის გახსნისთანავე დაიწყება და შემოსული თანხიდან გარკვეულ ნაწილს ადგილობრივ სკოლა-ინტერნატს არგუნებენ.

გარდა ამისა, კომპანიაში აპირებენ, საავტომობილო ტრასებზე გამაძლიერებლები დაამონტაჟონ, რათა “ბილაინის“ აბონენტებმა კიდევ უფრო სრულყოფილი მომსახურება მიიღონ.





## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

### საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური



დაიბადა 1976 წლის 5 აგვისტოს ქალაქ თბილისში.

1993-1997 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების სპეციალობით (ბაკალავრის ხარისხი);

2000 წელს დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი საბუღალტრო და აუდიტის სპეციალობით (მაგისტრის ხარისხი);

2000 წელს ფლორიდის უნივერსიტეტში (ფლორიდის შტატი, აშშ) გაიარა ტრენინგის კურსი კომუნალურ საწარმოთა რეგულირებისა და სტრატეგიის სპეციალობით (მსოფლიო ბანკის პროგრამა), ხოლო 2001 წელს — ფინანსებისა და საბიუჯეტო განვითარების საერთაშორისო ტრენინგი ქალაქ პორტლენდში, მეინის შტატი, აშშ.

2000-2002 წ.წ. სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკის ფაკულტეტზე ენერგეტიკის მენეჯმენტის სპეციალობით (მაგისტრის ხარისხი);

1999-2000 წლებში იყო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის ეკონომიკური დეპატრამენტის წამყვანი სპეციალისტი;

2000-2002 წ.წ. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი იყო;

2002-2004 წ.წ. მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატში მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორად;

2004-2005 წლებში იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ხოლო 2005-2006 წლებში — მინისტრის პირველი მოადგილე;

2006-2007 წლებში იყო საქართველის ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალური დირექტორი;

2007 წლის 30 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად.

ჰყავს მეუღლე ნინო ლაშხი და სამი შვილი: ალექსანდრე, გოგი-გიორგი და ნინო ხეთაგურები.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, რომელიც მინისტრმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე შეავსო, ის ფლობს საცხოვრებელ ბინას ძოწენიძის ქუჩა №4, რომლის ფართიც 162 კვ.მ.-ია.

მინისტრსვე ეკუთვნის ძოწენიძის ქუჩაზე მდებარე ავტოფარეხი, რომლის ფართიც 18 კვ.მ.-ია.

ხეთაგურის საკუთრებაა 2006 წლის გამოშვების მერსედესის ტიპის ავტომობილი.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ფასიან ქაღალდებს.

ენერგეტიკის მინისტრს საქართველოს ბანკში გახსნის საბარათე ანგარიშზე 0.00 ლარი ერიცხება.

საქართველოს ბანკში მეორე საბარათე ანგარიშზე მინისტრის სახელზე 1.01 დოლარი ირიცხება.

საქართველოს ბანკში გახსნილ მესამე საბარათზე ანგარიშზე ხეთაგურს 0.98 ევრო ერიცხება.

საქართველოს ბანკში გახსნილ საკრედიტო ანგარიშზე ერიცხება 12.97 დოლარი.

საქართველოს ბანკში გახსნილ საკრედიტო ანგარიშზე ერიცხება 1150.0 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად მინისტრს თი-ბი-სი ბანკში გახსნილ სახელფასი ანგარიშზე 0.0 ლარი ერიცხება.

მინისტრის მეუღლეს ნინო ლაშხს ბანკ რესპუბლიკაში გახსნილი აქვს სახელფასო ანგარიში, რომელზეც მას 100.0 ლარი ერიცხება.

ნინო ლაშხის სახელზეა გახსნილი საქართველოს ბანკში საბარათე ანგარიში, რომელზეც მინისტრის მეუღლეს 50 დოლარი ერიცხება.

თი-ბი-სი ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე ნინო ლაშხს 100 ლარი ერიცხება.

საბარათე ანგარიში ნინო ლაშხს სახალხო ბანკშიც აქვს გახსნილი, სადაც მას 1.0 ლარი ერიცხება.

გასულ წელს ხეთაგურმა ჯამაგირის სახით 95.828.2 ლარი მიიღო.

მინისტრის მეუღლემ კი ხელფასის სახით გასულ წელს 41.976.0 ლარი მიიღო. მინისტრის მეუღლე საქართველოს წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის კომისიაში მუშაობს. ნინო ლაშხი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსია.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად ირკვევა, რომ ხეთაგურს გასულ წელს ავტომანქანა გაუყიდია. მინისტრმა მანქანა 15.000 ათას ლარად გაყიდა.

სხვა მინისტრებისაგან განსხვავებით, ხეთაგურის ქონება საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. მისთვის ქონებასა და წილებზე ოპოზიციასაც კი არ მოუდია შარი.

ერთადერთი, რის გამოც ისინი ხეთაგურს შარს სდებენ, ახლობლების დასაქმებაა. ოპოზიციის განმარტებით, მინისტრმა მეუღლე, მამა და ძმა საკუთარ უწყებაში დაასაქმა.

# ადვოკატები 26 სექტემბრიდან აქციებს იწყებენ

გულიკო ბალა ე

— სააკაშვილი ადვოკატებს ახრჩობს, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა.

როგორც ჩანს, ზაზა ხატიაშვილმა ხელისუფლებას უნდა აუსრულოს დათქმული მუქარა და, რადგან ხელისუფლება ადვოკატების დევნას განაგრძობს, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ადვოკატთა მთელი კორპუსის მობილიზაციას იწყებს. ის საპროტესტო აქციებს მოწყობას გეგმავს.

26 სექტემბერს ადვოკატები განაახლებენ საშემოდგომო საპროტესტო აქციებს, რომელიც გაიმართება უზენაესი სასამართლოს შენობასთან.

— მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ადვოკატთა კორპუსის უპრეცედენტო დევნა. ბოლო დროს სააკაშვილის რეჟიმმა ყველანაირი სამართლებრივი ნორმისა და წესების დარღვევით დაიწყო მოქმედება. სააკაშვილის რეჟიმმა ადვოკატთა კორპუსის ისეთი არნახული დევნა დაიწყო, რომელიც არც ერთ რეჟიმს არ გაუკეთებია. ახლა სააკაშვილის რეჟიმი ადვოკატებს უკვე მოგებული პროცესების გამო აპატიმრებს, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ზაზა ხატიაშვილმა.

საშემოდგომო საპროტესტო აქციების გამართვის დაჩქარება ერთ-ერთი ადვოკატის, ტარიელ მურმანიშვილის, დაპატიმრებამ გამოიწვია.

— ჩვენმა ადვოკატმა ტარიელ მურმანიშვილმა მოიგო სასამართლო პროცესი და ხელშეკრულების თანახმად ეკუთვნოდა 750 ათასი ლარი. მას თანხისა და უძრავი ქონების ნახევარი მოგებული ჰქონდა. მურმანიშვილის მარწმუნებელზე აღრიცული უძრავი ქონებისა და თანხის ნახევარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ადვოკატს უნდა მიეღო. სახელმწიფოს სახელით მოქმედმა სააკაშვილის რეჟიმმა ადვოკატთან დადებული ხელშეკრულება რომ არ აღსრულებულიყო, ტარიელ მურმანიშვილი დააპატიმრა. ასეთი პრეცედენტი ფაშისტური რეჟიმის პირობებშიც კი არ მომხდარა, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ ადვოკატი ტარიელ მურმანიშვილი დაიჭირეს იმის გამო, თითქოსდა მან წინასწარ თაღლითურობის ჩადენა ჩაიფიქრა. „იცოდი, ამ საქმეს მოიგებდი და იმიტომ დადეთ ასეთი ხელშეკრულებაო. დაზარალებულს დააწერინეს, არ წამიკითხავს, ტარიელ მურმანიშვილს ხელშეკრულებაში რა ეწერაო. აღნიშნულის შემდეგ იქმნება პრეცედენტი, როცა მოუნდება პროკურატურას, შეიძლება გადაიფიქროს და ადამიანი თაღლითობაში დაადანაშაულოს. ერთადერთი საშუალება, რომელიც ადვოკატს თავის დაცვის საშუალებას აძლევდა, რომ ადამიანი ციხეში არ წასულიყო, ხელშეკრულება იყო. სააკაშვილს რეჟიმმა კი სახელშეკრულებო ურთიერთობები ადვოკატსა და კლიენტს შორის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა".

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, ეს იმდენად საშინელი ფაქტია, რომ მან ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის საგანგებო სხდომა მოიწვია, რომლის შემადგენლობაში არიან ადვოკატები ქეთი ბექაური, ეკა ბესელია, ლალი აფციაური და სხვები, სულ 15 ადვოკატი.

— ადვოკატთა დაცვის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დაკავებული ადვოკატების მხარდასაჭერად სოლიდარობის აქციის გამართვის თაობაზე, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა ჯურღმულში გამოამწყვდია. ამიტომ ამა წლის 26 სექტემბერს 5 საათზე, უზენაესი სასამართლოს წინ აქციას ვმართავთ.

***— ბატონო ზაზა, აქციებისკენ ადვოკატ ტარიელ მურმანიშვილის დაპატიმრებამ გიბიძგათ?***

— ჯერ კიდევ აგვისტოში ჩვენ ორი აქცია ჩავატარეთ, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ოფისებთან. ეს იყო დაპატიმრებული ადვოკატების სოლიდარობის აქციები. მაშინ განვაცხადეთ, რომ აქციები სექტემბერში გაგრძელდებოდა და გამოვაცხადებდით, მთელი ადვოკატთა კორპუსის მობილიზაციის თაობაზე. ტარიელ მურმანიშვილმა პროცესი დააჩქარა.



ზაზა ხატიაშვილი

აქციები აგვისტოში დავიწყეთ, როცა სააკაშვილის რეჟიმმა სამი ადვოკატი დააკავა. რამინ პაპიძე და თამილა ქუთათელაძე პასუხისგებაში მისცეს. თან ქალბატონი თამილა ქუთათელაძე რომ დააპატიმრეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გამომძიებელმა, როდესაც ის გადაჰყავდათ.

***— როგორ, სცემა?***

— ხელები გადაუგრიხა, მოუჭირა, ნაჭდევები გაუჩნდა. თამილა ქუთათელაძემ შეიტანა საჩივარი, რომ მის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. სახეში ჩაგარტყამენ თუ ხელს გადაგიგრეხენ, ორივე იძულებაა.

ასევე თავისუფლება აღუკვეთეს ადვოკატ ნაირა უტიაშვილს, რომელიც ილებდა აღსრულების პროცესს — დააბრალეს, აღსრულებას ხელი შეუშალაო, დაადეს ხელბორკილები და ოთხი საათი დაპატიმრებული იყო. საცოდავი, იდგა ფეხზე და ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, სანამ მე, ეკა ბესელია და ქეთი ბექაური არ მივედით და ყვირილი არ ავტეხეთ. საცოდავს რას უკერავდნენ, ვინ იცის. შემდეგ 400-ლარიანი ჯარიმა აკმარეს. ადვოკატმა ქეთი ბექაურმა სასამართლოზე დააყენა შუამდგომლობა, ნაირა უტიაშვილი მართალია, ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, რომ რასაც ეს ქალბატონი ამბობს, იმას მობილურით იღებდა და სასამართლოზე ვნახოთ. კუბლაშვილის საფეოდალო სასამართლოს მოსამართლემ უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმყოფილებაზე. ე.ი. არ აინტერესებთ, ადვოკატი მართალია თუ არა. ეს არის უბედურება. სასამართლომ მტკიცებულებაზე უარი თქვა და 400-ლარიანი ჯარიმით დააჯარიმა. ეს არის ადვოკატთა დევნის ფაქტები. სააკაშვილს უნდა ადვოკატების დახრჩობა იმიტომ, რომ ერთადერთი ჩვენ ვართ, რომლებიც ამ რეჟიმს ამხელს ადამიანების წამებაში, განადგურებაში, არაადამიანურ მოპყრობასა და დევნაში. ამიტომ ამ რეჟიმმა მიზნად დაისახა ადვოკატთა კორპუსის განადგურება, მის წინააღმდეგ არაადამიანური მოპყრობა და ბრძოლა. მოვუწოდებ ყველა ჩვენს კოლეგას 26 სექტემბერს, შევიკრიბოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობასთან.

როდესაც სასამართლო პროცესზე ზაქარია ქუცნაშვილმა ჰკითხა პროკურორს, მტკიცებულებები გაქვთო? პროკურორმა უპასუხა, 2-3 დღის შემდეგ მექნებაო. ეს უნამუსო სასამართლო არის ყველაფრის გარანტი. ადეიშვილის უწყება კაცს რომ დაიჭერს, იცის, მათი ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილდება. ამიტომ ვიწყებთ სოლიდარობის აქციებს. აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ სამართლიან სასამართლოს არ მივიღებთ და ადვოკატები დაცული არ ვიქნებით.

***— ბატონო ზაზა, როგორც ვიცი, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია და ევროპის ადვოკატთა ასოციაცია მხარს გიჭერენ. არიან ევროპელი ლიდერები, რომელთა ნაწილი მხარს გიჭერთ, მაგრამ ნაწილი ამ ხელისუფლებას აქებს. ამას როგორ ახსნით?***

— პოლიტიკოსებმა უნდა იბრძოლონ პოლიტიკურად. როგორც მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვაკეთებ, ისე უნდა იბრძოლონ პოლიტიკოსებმაც. მე შევიტანე განცხადება ევროკავშირის პრეზიდენტის ხოსე მანუელ ბაროზოს სახელზე, სააკაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის, კუბლაშვილისა და კალმახელიძის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე არშეშვების თაობაზე.

***— გამოხმაურება როგორი იყო?***

— რასაც მე, იგივე რომ გააკეთოს პოლიტიკურმა სპექტრმა, რომელსაც რამდენჯერმე გაუყალბეს არჩევნები, შეიტანოს საჩივარი ევროპულ სტრუქტურაში, შედეგს მივიღებთ. ლუკაშენკომ, რომელმაც გააყალბა არჩევნები, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს. 2003 წლის შემდეგ სააკაშვილმა რამდენიმე არჩევნები გააყალბა, მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ ძალას საჩივარი არ შეუტანია. სააკაშვილმა ყველა სფერო დააბინძურა. ამიტომ, ყველა მათგანმა უნდა იბრძოლოს ისე, როგორც ადვოკატები ვიბრძვით.

## შუალედურ არჩევნებს თელავში ორი არასამთავრობო ორგანიზაცია დააკვირდება

შუალედურ არჩევნებს თელავში ორი არასამთავრობო ორგანიზაცია დააკვირდება.

— ესენია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, — იუწყება რადიო „ჰერეთი".

თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით მკალავიშვილის განცხადებით, ამ დროისთვის რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ ორმა ორგანიზაციამ გაიარა.

— ვისაც სურვილი აქვს, არჩევნებს დააკვირდეს, რეგისტრაცია 22 სექტემბრამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან ჩვენთან, საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა გაიაროს, — განაცხადა დავით მკალავიშვილმა.

2 ოქტომბერს თელავში პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევენ. არჩევნები აქ დეპუტატ გია არსენიშვილის გარდაცვალების გამო დაინიშნა.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილი გაეროში გამოსვლისთვის ემზადება

დასაწყისი მე-5 გვერდზე

გაკეთება ბელორუსის მიერ, საქართველოსთან მიმართებით საერთაშორისო სამართლის დარღვევა-არ დარღვევასთან დაკავშირებით მოუწია.

ნინო კალანდაძის განცხადებით, ბელორუსს არც ერთ ეტაპზე არ დაუპირებია საერთაშორისო სამართლის დარღვევა საქართველოსთან.

კალანდაძის თქმით, ის, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების სანაცვლოდ მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს იყენებდა, მათ შორის ფულად სახსრებსაც, ეს ფაქტია.

— ცნობილია ისიც, რომ რუსეთი ამ პოლიტიკას საერთაშორისო მასშტაბით აგრძელებს. რაც შეეხება ბელორუსთან მიმართებით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ ბელორუსთან ძალიან მეგობრული და კარგი ურთიერთობა გვაქვს. ეს ურთიერთობები სრულფასოვან საფუძველს გვაძლევს, რომ ვიფიქროთ, ბელორუსს არც ერთ ეტაპზე არ დაუპირებია საერთაშორისო სამართლის დარღვევა და საერთაშორისო თანამეგობრობით აღიარებულ ნორმების უგულებელყოფა საქართველოსთან მიმართებაში, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა საფრანგეთის განვითარების ბანკის ინიციატივას კავკასიაში კურორტების მშენებლობასთან დაკავშირებით.

— ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, რა სფეროებზე რა ფორმით განხორციელდება ევროპული ინვესტიციების გამოყოფა. თავისთავად მისასალმებელია, რომ ტურიზმის სფეროში დაინტერესება არსებობს დიდი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო დაინტერესებულია ამ რეგიონით და ამასთან არსებობს განვითარების პერსპექტივები, — ამბობს მინისტრის მოადგილე.

არსებობს ინფორმაცია, რომ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკი კავკასიის კურორტების განვითარებისთვის 10 მილიარდ ევროს გამოყოფს.

ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე. თუმცა, ის აღნიშნავს, რომ ფრანგული მხარე ინვესტიციებს საქართველოს კურორტებშიც განახორციელებს.

## ირანში „ბი-ბი-სის“ ხუთი თანამშრომელი დააკავეს

ირანში ტელეკომპანია „ბი-ბი-სის“ სპარსული ბიუროს ხუთი თანამშრომელი დააკავეს.

ირანის ტელევიზიის ინფორმაციით, „ბი-ბი-სის“ თანამშრომლები დაკავებულები არიან იმის გამო, რომ ისინი ირანში მიმდინარე მოვლენებს ნეგატიურ ჭრილში აშუქებდნენ და შესაბამის ვიდეო მასალას „ბი-ბი-სის“ მთავარ ოფისს უგზავნიდნენ.

დაკავებულების გვარები და ეროვნება უცნობია.

**მედიანიუსი**

## ყარაჯალის სკოლაში აზერბაიჯანელთა დიდი ნაწილი ქართულ სექტორში სწავლობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ახლად აშენებული საჯარო სკოლა დაათვალიერეს და პირველკლასელებს ახალი ქართული ენის სახელმძღვანელოები, სასწავლო აუდიო და ვიდეო მასალები გადასცეს.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, ყარაჯალას საჯარო სკოლის 700-მდე მოსწავლე ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში ისწავლის. სკოლა გეიდარ ალიევის ფონდის დაფინანსებით აშენდა და აღიჭურვა, გაკეთდა თანამედროვე გათბობა, მოეწყო საკონფერენციო დარბაზი, ექიმის კაბინეტი, ღია და დახურული სპორტული მოედნები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოეწყო კლას-კაბინეტები, სკოლას გადაეცა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

კოკა სეფერთელაძემ პირველკლასელებს დაწყებითი საფეხურის პირველი დონის ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცა, რომლითაც ისინი ქართულ ენას შეისწავლიან. წელს ყარაჯალას საჯარო სკოლას აზერბაიჯანულ სექტორზე 32 პირველკლასელი ჰყავს, ამ სკოლის 56 პირველკლასელი, მათ შორის ეთნიკური აზერბაიჯანელები, ქართულ სექტორზე სწავლობენ.

ყარაჯალას საჯარო სკოლა ერთ-ერთი დიდი სკოლაა გარდაბნის რაიონში და აქ მოსწავლეთა უმრავლესობა ქართულ სექტორზე სწავლობს. ამ სკოლის აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები კი, ქართულ ენას ამიერიდან ახალი სახელმძღვანელოებით შეისწავლიან.

წიგნი შექმნილია მოსწავლეთა ინტერესებისა და რეალურ საცხოვრებელ გარემოში, ყოფით სიტუაციებში მიმდინარე მოვლენების, საჭიროებების გათვალისწინებით. გრამატიკის სწავლებისას, აქცენტი კეთდება ე.წ. გამოყენებით, ანუ კომუნიკაციურ გრამატიკაზე.

გარდა აუდიო-ვიზუალური მასალებისა სახელმძღვანელოს თან ახლავს სპეციალური კომპიუტერული თამაშები, რომლებიც ჩაიტვირთება პირველკლასელებისთვის დარიგებულ ნეთბუკებში და ასევე განთავსდება სპეციალურ ვებგვერდზე (წწწ.ბუკი.გე).

2011 წლის ბოლომდე I-დან VI დონის ჩათვლით ყველა სახელმძღვანელო გამოიცემა. 2012 წელს საბაზო-საშუალო საფეხურებისთვის სახელმძღვანელოების დანარჩენი დონეები შეიქმნება.

**მედიანიუსი**

## გენადი ონიშჩენკო: ქართულმა ბიზნესმა უნდა იაქტიუროს



რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ქართულმა ბიზნესმა მინერალური წყლისა და ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების სურვილი, რეალური ქმედებებით უნდა დაამტკიცოს. ამის შესახებ ონიშჩენკომ სააგენტო „ინტერფაქსთან“ საუბარში აღნიშნა.

მისი თქმით, სიტყვით ქართული ბიზნესი მზადყოფნას გამოთქვამს რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად, თუმცა ამ დრომდე მას ის ტექნიკური პროცედურები არ გაუვლია, რომელიც აუცილებელია რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად.

— ჩვენთან მოლაპარაკებებს უკვე სამი კომპანია ცდილობს. ისინი თავს ექსკლუზიურ მომწოდებლებს უწოდებენ. ორ მათგანს ჩვენ უკვე შევხვდით, შევახსენეთ მათ ის პირობები, რის მიხედვითაც შეეძლებათ მათ რუსეთის ბაზარზე დაბრუნება. თუმცა ამ დრომდე საპასუხო ნაბიჯები ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის მხრივ, არ გადადგმულა, — განაცხადა ონიშჩენკომ და დასძინა, რომ ანალოგიური სიტუაცია ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხშიც შეიქმნა.

მისი თქმით, ქართული ბიზნესის წამომადგენლები განცხადებების იქით არ მიდიან.

— თუ უნდათ, შეუძლიათ დაბრუნდნენ ჩვენთან. თუმცა უნდა გაიგონ, რომ ჩვენ ბაზარზე დასაბრუნებლად პირობები იქნება მკაცრი და ასევე უნდა გაიგონ, რომ რუსეთი „ბორჯომისა“ და ქართული რვინის გარეშე გაძლებს. განსაკუთრებული მოთხოვნა და დეფიციტი არ არსებობს, — აღნიშნა ონიშენკომ.

**მედიანიუსი**

# სოსო მანჯავიძე: „წინააღმდეგობის მოძრაობა აქციებს ოქტომბრიდან დაიწყებს“

### ჰყავს თუ არა საქართველოს ოპოზიცია

**ქეთი ხომერიკი**




სოსო მანჯავიძე

იქნება თუ არა „ეროვნული ფორუმის“ ქართველთა მარში□საპროტესტო აქციების გახსნის სეზონი, რატომ აბნევს ხალხს „ექვსიანი“, რატომ არ გვყავს ოპოზიცია, ვინ ემზადება პოლიტიკაში მოსასვლელად და როდის იწყებს „წინააღმდეგობის მოძრაობა“ პერმანენტულ საპროტესტო აქციებს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.

**სოსო მანჯავიძე:**

— „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივა აქციების გახსნის სეზონი იქნება თუ არა, ვერ გეტყვით, თუმცა ჩვენ ვიცოდით, რომ „ექვსიანი“ ერთიან პოლიტიკურ გეგმებს ამუშავებდა, ისე, ჯერ „რვიანზე“ ვიცოდით, ახლა კი „ფორუმმა“□ქართველთა მარში დააანონსა, რაზეც „ექვსიანში“ შემავალმა სუბიექტებმა განაცხადეს, არ ვუერთდებითო, ანუ ამ საკითხში ვერ შეთანხმდნენ, რამაც ბუნებრივია, საზოგადოებაში დაბნეულობა გამოიწვია.

***— ექვსიანში შემავალმა სუბიექტებმა, იგივე ალასანიამ განაცხადა, რომ პარტიული ღონისძიებები შეუძლიათ ერთმანეთთან შეუთანხმებლადაც ჩაატარონ...***

— რანაირი ტიპის პარტიული ღონისძიებები აქვთ და რა აქტიურობაც, ამას ყველა კარგად ხედავს და საერთოდაც, ეს არეულობა ქართულ პოლიტიკაში უკვე სასაცილოც კი აღარ არის.

***— თქვენი აზრით, რეალურად რა მიზანს ემსახურება „ფორუმის“ ქართველთა მარში? სხვების მსგავსად თქვენც ფიქრობთ, რომ მარში ხელისუფლების პროექტია?***

— არ ვიცი, ხელისუფლების პროექტია, პარტიული, თუ ეროვნული ინტერესების, თუმცა თუ ეროვნული ინტერესებისაა და გამაერთიანებელი იყო, მაშინ ჯერ „ექვსიანში“ მოლაპარაკებულიყვნენ, პრესით, რომ დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი... თითქმის ერთი წელია, ამბობენ, ერთად ვართ, ძმები ვართ, ერთიანი პოლიტიკური გეგმები გვაქვსო და ერთმანეთს ვერ დაუკავშირდნენ და შეუთანხმდნენ წინასწარ?

***— სხვათა შორის, განაცხადა, დავითაშვილმა ეს პრესით არ უნდა გაგვეგო, არ გამოვრიცხავ, ხუთპარტიული ბლოკი შედგესო, რა ხდება „ექვსიანი“ იშლება, შავმა კატამ გაირბინა?***

— არ ვიცი კატამ გაირბინა, თუ თაგვმა, მაგრამ ფაქტია, „ქართველთა მარში“ ეწყობა, „ექვსიანიდან“ „ფორუმი“ ჯერ გამოსული არ არის, რომ ჰკითხო, არც გამოვა და მაშინ რატომ აბნევენ ხალხს? თუ „ექვსიანში“ წინასწარ არ მოილაპარაკეს, გაჩუმდეს მაინც დანარჩენი ხუთი და გააკეთონ ეს მარში, კი ბატონო.

***— „წინააღმდეგობის მოძრაობა“ „ფორუმის“ დაანონსებულ ქართველთა მარშს შეუერთდება?***

— არ ვიცით, რა ხდება, წარმოდგენა არ გვაქვს, რას აპირებენ, ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს და შემოუთავაზებია, თუმცა ისინი ვინაიდან დიადი და ბუმბერაზი პიროვნებები არიან, ეტყობა თვითონ იციან ყველაფერი.

***— სანიკიძემ ყველას მოუწოდა, შემოგვიერთდითო...***

— იცით, ბატონი გუბაზისგან არაერთგზის გამიგია, როცა საკითხები წყდება, საჭიროა კონსულტაციები დახურულ ფორმატშიო, ასე კეთდება საერთოდ შეთანხმება, შემდეგ კი საქმე, მაგრამ...

***— გამოვა „ფორუმის“ დაძახილზე ხალხი ქუჩაში?***

— ვისაც უნდა, გამოვიდეს, არ ვიცი, გამოვა ხალხი, თუ არა ამ აბსოლეტურად მოუმზადებელ სიტუაციაში.

***— როგორც ჩანს, ქართველთა მარში□ მონაწილეობას მხოლოდ „სახალხო კრება“ მიიღებს...***

— იცით, აქციას სჭირდება მომზადება. ჩვენ როცა აქციას ვაწყობთ, ვემზადებით, საინფორმაციო, ჩვენი წევრებისა და მხარდამჭერების მობილიზაციას ვახდენთ, ამიტომაც ჩვენი აქციები მრავალრიცხოვანი გამოდის ხოლმე. პრინციპში არაფერი გვიშლის ხელს, რომ შევუერთდეთ ფორუმის ინიციატივას, თუმცა ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენს გეგმებს, ჩვენც გვაქვს ჩვენი საკუთარი გეგმები და დღის წესრიგი ხომ და ვემზადებით კიდეც ამისთვის. და ახლა ისე, რომ არავითარი მოლაპარაკება ჩვენთან არავის არ ჰქონია, მოულოდნელად გამოდის ბატონი გუბაზი და აანონსებს ამას, მერე გამოდიან მისივე თანამებრძოლები „ექვსიანიდან“ და იძახიან საწინააღმდეგოს, შემდეგ სხვა პარტიები, აი, ლეიბორისტებმა ხომ საერთოდ ქოქოლა დააყარეს მათ, ჰოდა, ასეთ არეულობაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

***— ოპოზიციის ამდაგვარი ნაბიჯები საზოგადოებას არ დააბნევს?***

— რა თქმა უნდა, ეს სწორედაც, რომ ხალხს აბნევს და ამ დაბნეულობაში არ მინდა მივიღო მონაწილეობა. ჩვენ ქართულ პოლიტიკურ ბაქკანალიაში მონაწილეობის მიღება არ გვინდა. აქციები უნდა მოხდეს შეთანხმებით, უნდა გაერთიანდნენ ის ძალები, რომლებიც რეალურად ებრძვიან რეჟიმს და არ უნდა დავუშვათ, რომ იქ საბნის გადაქაჩვა-გადმოქაჩვა იყოს. გასაკვირია ამ მარშის მოულოდნელად დაანონსება და საერთოდაც, გასაკვირი ის არის, რომ თითქმის წელიწად-ნახევარი მიმდინარეობდა საზოგადოებისთვის სრულიად გაუგებარი სეპარატიული მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან დახურულ კარს მიღმა, საარჩევნო გარემოს შეცვლის მიზნით და ეს ყველას გვახსოვს.

***— საარჩევნო გარემოს შეცვლაც „ფორუმის“ ინიციატივა იყო. საარჩევნო გარემო ხომ „გააუმჯობესა“, ახლა „ქართველთა მარშის“ და ხელისუფლების შეცვლის დროა...***

— დიახ, ასევე გვახსოვს განცხადებები დასავლეთის მხარდაჭერის, გარდაუვალი წარმატების შესახებ. არაერთხელ მაქვს ნათქვამი, რომ საარჩევნო გარემოსთვის ბრძოლის პროცესში ამ პარტიებმა თავიანთი უგუნური მოქმედებებით მთლიანად დაკარგეს არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობა. აი, ეს არის ფორმულა. რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ეს პროცესი ამ პროცესში შემავალი სუბიექტების დისკრედიტაციისთვის გამოიყენა. არაერთგზის მითქვამს, რომ ეს იმ ტიპის ხელისუფლებაა, რომელიც პოლიტიკურ ბაზარზე ავტორიტეტის მქონე ადამიანებს არ დაუშვებს. ამან გამოიწვია სრული ვაკუუმი ამ ე.წ. კონსტრუქციული ძალების ოპოზიციური პროცესის გარშემო. გახსოვთ ხომ როგორ ქედმაღლურად ექცეოდნენ იგივე „სახალხო კრებას“□ და სხვა მოძრაობებს, რომ აი, თქვენ — მარგინალები, ჩვენ კი კონსტრუქციულები ვართო და ა.შ.

***— თქვენ „სახალხო კრების“ სათავეებთან იდექით 25 ნოემბრამდე და ხომ არ იცით „ფორუმმა“ კრებას ყველა რაიონში თავიანთი წარმომადგენლის დანიშვნა მოსთხოვა თუ არა?***

— ფორუმთან წინასწარ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები კრებაში მათი გაერთიანების შესახებ, რაც რატომღაც ჩაიშალა. ვგულისხმობ, კრების საწყისი სტადიის პერიოდს, მაშინ ფორუმი კრებაში არ შემოვიდა. ჩვენთვის ფორუმის პოზიცია გაუგებარი იყო. ალბათ, არ შემოვიდა იმ მიზეზების გამო, რომლებიც დღესაც ისე მუშაობენ, როგორც მაშინ. აი, სანამ კრება შედგებოდა, რამდენიმე დღით ადრე მოხდა ფორუმის კრებაში შემოსვლა და მალევე გასვლა. არ ვიცი, ეს რა მიზეზით მოხდა, მე უკვე აღარ ვიყავი კრებაში, რადგან კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი მათ პოზიციებს. ახლაც იგივე აზრის ვარ და დაადასტურა კიდეც მოვლენების განვითარებამ, რომ გადაწყვეტილებების მიღების ის მექანიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა კრებაში, სათავეშივე გამორიცხავდა სწორი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ის შედეგები, რაც მივიღეთ, ლოგიკური იყო, რადგან ფაქტობრივად, არასერიოზული მიდგომა იყო საკითხისადმი. და საერთოდაც, ვერანაირი რეალური პოლიტიკური მოძრაობა არსებული პარტიული სტრუქტურების მეშვეობით საქართველოში ვერ დაიწყება. ეს შეუძლებელია, რადგან პოლიტიკური სპექტრი რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის გარდა მთლიანად კონტროლდება. თვითონ პოლიტიკური პარტიების ისტორია და მათი დაფინანსების წყაროები გამორიცხავს ამ კონფიგურაციით რაიმე ტიპის გაერთიანებას, ცალ-ცალკე კი არაფერი შეუძლიათ.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ოპოზიცია არ გვაყვს?***

— დიახ, არ გვყავს. და ეს ე.წ. ოპოზიციური ძალები ვერც გაერთიანდებიან ვერასდროს, რადგან მოწინააღმდეგე ვექტორების ძალები მართავენ მათ. ვგულისხმობ პრორუსულ, პროამერიკულ ძალებს, ქვეყნის შიგნით ამ ძალების პროექცია არის ხელისუფლება, ანუ არის სხვადასხვა ქვეყნების ინტერესები და ამ ინტერესების გამტარებლები არიან სხვადასხვა ფლანგები ქვეყნის ხელისუფლებაში და მათი პროექცია არის კიდევ ოპოზიცია. ამიტომ, ვერც ერთი, მათი წარსულისა და დაფინანსების წყაროების გამო სამწუხაროდ, ეროვნულ ინტერესებს ვერ მოუყრის თავს და ვერ გახდება კოლექტორი ეროვნული ინტერესების გამოხატვისა. ამიტომ საჭიროა ეროვნული ინტერესების ძალის ცენტრის ფორმირება. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრის შექმნა და ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. საზოგადოებას სჭირდება პოლიტიკური ინსტრუმენტი, ეს პოლიტიკური ინსტრუმენტი უნდა ჩამოყალიბდეს და ვპირდები საზოგადოებას, რომ ჩვენ და ჩვენი მეგობრები ამას ჩამოვაყალიბებთ.

***— შემთხვევით პოლიტიკაში მოსვლას ხომ არ აპირებთ?***

— ერთს გეტყვით, „წინააღმდეგობის მოძრაობას“ ასევე გაუჩნდება პოლიტიკური შემადგენელი. დანარჩენს საზოგადოება თავის დროზე გაიგებს, არიან და გამოჩნდებიან ადამიანები, ჩვენი მეგობრები, ვის მიმართაც საზოგადოებაში არ არის კითხვები. ახლა,მეტს ვერაფერს გეტყვით.

***— და თქვენ როდისღა იწყებთ აქციებს?***

— უშუალოდ მოქმედებაზე გადავალთ მაშინ, როცა მზად ვიქნებით, ჩვენ ვემზადებით და ეს ალბათ იქნება ოქტომბრის დასაწყისი. საქართველოში აქციები სოციალური გენოციდის შეწყვეტის მოთხოვნით, ამნისტიისა და უფლებრივი მოთხოვნებით დაიწყება. თემატური, მრავალრიცხოვანი და მშვიდობიანი მანიფესტაციები□ ა, ეს არის ერთადერთი გამოსავალი. ჩვენს აქციებს მონიტორინგს ევროპული ორგანიზაციები გაუწევენ. ხელისუფლებამ ამნისტია უნდა მიიღოს და მე მწამს, რომ ეს ასეც იქნება. ჩვენი მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შემთხვევაში კი პროტესტი გაიზრდება. აქვე გეტყვით, რომ იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებსაც მერაბიშვილი და ბოკერია აკონტროლებს აქციებზე ჩვენ გვერდით ვერ იხილავთ.

***— სხვათა შორის, ალასანიამ გიპასუხათ — აღარ ვხვდები ბოკერიასო და თქვენი დამშვიდება გვთხოვა...***

— მშვიდად ვარ, თუ არ ხვდება, მით უმეტეს, დავმშვიდდი. ისე კი, ვინ რას გააკეთებს, ამას მომავალი გამოაჩენს.

## მთავრობამ სტიქიის შედეგად დაზარალებულ კახეთს 3 მილიონი ლარი გამოუყო

სტიქიისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად მთავრობამ ლაგოდეხის, გურჯაანის, სიღნაღის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს 3 მილიონი ლარი გამოუყო.

მთავრობის განკარგულებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი 1 850 000 ლარს, გურჯაანის რაიონი 400 000-სს, საგარეჯოს 700 000-ს, ხოლო სიღნაღი 50 000 ლარს მიიღებს.

სამუშაოების ჩატარების ვადები შეზღუდული არ არის. აღსანიშნავია, რომ გამოყოფილი თანხა დაზიანებული ობიექტების სრულად აღსადგენად საკმარისი არ არის და ეს მხოლოდ სამუშაოების ჩატარების პირველ ეტაპზეა გათვლილი. დანარჩენ თანხას მთავრობა როდის გამოყოფს, ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია„, - განაცხადა კახეთის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსმა ლაშა ჩივიაშვილმა.21 აგვისტოს სტიქიამ კახეთის რეგიონს 6,8 მილიონი ლარის ზარალი მიაყენა. ყველაზე მეტად ლაგოდეხის რაიონი დაზარალდა, სადაც ზარალის ოდენობა 5 მილიონი ლარია. საგარეჯოს რაიონს 1 300 000 ლარის ზარალი მიადგა, გურჯაანს 500 000 ლარის.

**მედიანიუსი**

# „უცხოეთის ქართულ მემკვიდრეობას“ კონფერენცია მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

20 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში საერთაშორისო კონფერენცია „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“ ოფიციალურად გაიხსნება. პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და ამავე სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. კონფერენციაში მონაწილეობს 70-მდე ქართველი და უცხოელი მეცნიერი შემდეგი ქვეყნებიდან — დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ნორვეგია, ჰოლანდია, თურქეთი, ირანი. ღონისძიების მიზანია, საშუალება მისცეს უცხოეთის ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერებს, წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები და სიახლეები სხვადასხვა კვლევითი სფეროების მიხედვით.



კონფერენციის ძირითადი სამუშაო თემატიკაა: უცხოეთის ქართული მონასტრები, ისტორიული ქართული ტერიტორიები საქართველოს საზღვრებს გარეთ, (კულტურული მემკვიდრეობა), უცხოეთის ქართული ხელნაწერი და საარქივო მემკვიდრეობა, უცხოეთის სხვა ქართული სიძველეები. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ამავე სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრებიან. საერთაშორისო კონფერენცია ოთხ დღეს გასტანს და 24 სექტემბერს დასრულდება.

საერთაშორისო პრესკონფერენციის ჩატარებამდე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში ახალი სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. სამაგისტრო პროგრამა „ხელნაწერთმცოდნეობა“ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია და აღნიშნულ პროგრამაზე მიღება მიმდინარე სასწავლო წელს პირველად ცხადდება. პრეზენტაცია პროგრამის ავტორებმა წარადგინეს და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებსაც უპასუხეს. პრეზენტაციაზე დასწრება და პროგრამის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო. ცნობილი გახდა ისიც, რომ ახალ სამაგისტრო პროგრამაზე საბუთების მიღება 27 სექტემბრამდე გაგრძელდა. ახალი სამაგისტრო პროგრამა „ხელნაწერთმცოდნეობა“ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია. აღნიშნულ პროგრამაზე მიღება მიმდინარე სასწავლო წელს პირველად გამოცხადდა. საბუთების მიღება 15 აგვისტოს დაიწყო. რეგისტრაცია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მიმდინარეობს.

ხელნაწერთა ცენტრში „საზაფხულო სკოლა“ დაიხურა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა სულხან სისაურმა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ სკოლის მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში გადასცეს სერთიფიკატები, ხოლო მსმენელთა მიერ მოხდა პროექტის შეფასება და წინასწარ მომზადებული პრეზენტაციების წარდგენა. საზაფხულო სკოლა განკუთვნილი იყო ქართული კულტურით, განსაკუთრებით კი ქართული დამწერლობით და ხელნაწერი მემკვიდრეობით დაინტერესებულ უცხოელთათვის. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის სურვილი 15 სხვადასხვა ქვეყნიდან 45-ზე მეტმა მსმენელმა გამოთქვა. მათგან შერჩეული იყო პროექტით გათვალისწინებული 12 სტუდენტი შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, პოლონეთი, გერმანია, რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ბულგარეთი, იტალია. სკოლის სტუდენტებს აკადემიური პროგრამის ფარგლებში ჩაუტარდათ ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები სხვადასხვა საკითხზე — ქართული დამწერლობის წარმოქმნა და განვითარების ეტაპები, ქართული ხელნაწერი წიგნი, ქართული სამწიგნობრო ცენტრები, ქართული ისტორიული დოკუმენტები, ქართული ნაბეჭდი წიგნი, ქართული ეპიგრაფიკა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცია. სკოლის მსმენელებმა პრაქტიკულადაც შეისწავლეს ქართული დამწერლობა. სკოლის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა 9 ექსკურსიას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — ბოლნისი, დმანისი, მცხეთა, დავით გარეჯი და 2 გამოფენას — ქართული კალიგრაფია და ქართული ხელნაწერი წიგნი. პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და ამავე სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ვაშინგტონის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ქართული კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულმა სტუმრებმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მუდმივმოქმედ გამოფენა დაათვალიერეს, რის შემდეგაც მოისმინეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერის მიხეილ ქავთარიას ლექცია ტაოკლარჯეთში გადაწერილი ხელნაწერების შესახებ.

# ბათუმის თოჯინების თეატრი მსოფლიო ხუთეულშია

ეკა ირემაშვილი

**ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი პირველ ოქტომბერს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ფესტივალში.**

ქალაქი ვარნა წელს თოჯინების რიგით მე-15 საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალის სახელწოდებაა „ოქროს დელფინი“, რომელიც 1972 წელს დაარსდა და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება. ფესტივალი ორგანიზებულია ბულგარეთის კულტურის სამინისტროს, ქალაქ ვარნის მუნიციპალიტეტის და ვარნის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მიერ. „ოქროს დელფინის“ მიზანია — ბულგარეთის თოჯინური თეატრების განვითარება დრამატურგიის კუთხით, ბულგარეთის თოჯინების თეატრების მიღწევების პოპულარიზაცია და მსოფლიო თოჯინური თეატრების კულტურების გაცნობა-დაახლოება.

ფესტივალის 40-წლიანი არსებობის ისტორიაში საქართველოს მონაწილეობა პირველი პრეცედენტია. ბათუმის თოჯინების თეატრი სპექტაკლს „არგონავტები“ წარუდგენს ბულგარელ მაყურებელს, რომლის რეჟისორიც ზურაბ ცინცაძეა. სპექტაკლი ფესტივალისთვის საგანგებოდ შექმნილმა ჟიურიმ მოიწონა და ოთხი ქვეყნის სპექტაკლებს შორის მოზარდთა პერფორმანსის საუკეთესო დადგმად აღიარა. მოზარდი აუდიტორიისთვის და არამარტო მათთვის, 5 ქვეყანა გამართავს წარმოდგენას — პენსილვანია (ამერიკა), ლესი (იტალია), ლაუსანე (შვეიცარია), პეტერბურგი (რუსეთი) და ბათუმი (საქართველო).

ფესტივალში აგრეთვე მონაწილეობენ ქუჩის თეატრები მსოფლიოს 5 ქვეყნიდან — ესპანეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია და გერმანია. 1-დან 6 ოქტომბრის ჩათვლით 25 წარმოდგენა იქნება ნაჩვენები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური თეატრების მიერ. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია პარალელური პროგრამა, სემინერების სახით — უჩინარი თეატრი (სოფია, ბულგარეთი), სიმღერა და თეატრი (ტაივანი), თოჯინების თერაპია. ფესტივალის გრანპრი „ოქროს დელფინია“, თუმცა აქვე წარმოდგენილია სხვადასხვა ჯილდოები, სხვადასხვა ნომინაციებში — საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო მხატვრობა, ქალის საუკეთესო როლი, მამაკაცის საუკეთესო როლი, საუკეთესო ორიგინალური მუსიკა და საუკეთესო მუსიკალური დადგმა.

უკვე ცნობილია, რომ ფესტივალის ყველა მონაწილე ქვეყანა დაჯილდოვდება სპეციალური დიპლომებით. ყველა დეტალური ინფორმაცია უკვე განთავსებულია ვარნის სახელმწიფო თოჯინების თეატრის ვებ გვერდზე.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის 19-კაციანი შემადგენლობა ბათუმიდან 29 სექტემბერს მიემგზავრება და 8 ოქტომბერს უკვე სამშობლოში დაბრუნდება.

ბულგარეთში გამგზავრებამდე აჭარის კიდევ ერთი კულტურული კოლექტივი ამჯერად ჩინეთში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში ჩაერთო. ჩინეთში აჭარის ბავშვთა ანსამბლი საერთაშორისო ფესტივალში იღებდა მონაწილეობას. აჭარის ბავშვთა ქართული-ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“ ოცდაათი ქვეყნის შემოქმედებითი კოლექტივს ეჯიბრებოდა. ფესტივალი ჰანანის პროვინციაში ქალაქ ჟანგაიეში გაიმართა. ანსამბლს „ხორუმი“ პარტნიორობას ფესტივალის განმავლობაში აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ უწევდა. ჩინელი მაყურებლის წინაშე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები აჭარიდან განახლებული და მრავალფეროვანი პროგრამით წარდგნენ. ფესტივალის განმავლობაში შედგა ქართული დელეგაციის შეხვედრები პეკინის კულტურის მინისტრთან და ჰანანის გუბერნატორთან. ფესტივალი ჰანანის კულტურის დეპარტამენტის, ტურიზმის ბიუროსა და ჟანგაიეს მერიის ორგანიზებით გაიმართა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება ლზნ-58მ მარკის მოდერნიზებული 12 კალიბრის ორლულიანი სანადირო თოფი და ავტომობილი „ნივა“ კარგ სამუშაო მდგომარეობაში. ტელ: 599-932-732. მის: თბილისი, ყაზბეგის გამზ.№24. ირაკლი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

# ესპანეთი ევროპაში გამეფდა

**ესპანეთი — საფრანგეთი 98:85**

**(25:20, 25:21, 25:21, 23:23)**

**ესპანეთი:** პ.გასოლი (17ქ,10მ,3დ), ფერნანდესი (14ქ), ნავარო (27ქ,5პ), კალდერონი (17ქ,4ჩ), მ.გასოლი (11ქ,6მ); რუბიო, რეიესი (2ქ), კლავერი, სან ემეტერიო, ლული (4ქ), იბაკა (4ქ,5დ), სადა (2ქ)

**საფრანგეთი:** ნოა (11ქ,8მ), ბატუმი (10ქ), პარკერი (26ქ,5მ,5პ), პიეტრუსი (4ქ), დიაუ (12ქ,7პ); სერაფინი (4ქ), ალბისი (1ქ), კაჰუდი (3ქ), ტრაორე (4ქ), დე კოლო (2ქ), ჩიკამბუ, ჟელაბალე (8ქ)

ლიტვაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში, რომლის უმთავრეს ფავორიტად თავიდანვე ესპანეთის ნაკრები მიიჩნეოდა და პირინეელებმა მართლაც ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეს მთელი ტურნირი. სერჯიო სკალიორის გუნდმა მთელი შეჯიბრების განმავლობაში ერთხელაც არ დააყენა გაჩემპიონების საკითხი ეჭვქვეშ და ფინალში დამაჯერებლად სძლია საფრანგეთის საკმაოდ სიმპათიურ გუნდს — 98:85.

პირენეელებმა ლიტვაში თერთმეტი მატჩი ჩაატარეს, საიდანაც ერთადერთი დათმეს. თურქებთან წაგებულ (57:65) შეხვედრაში, ესპანელებს ბევრი არც არაფერი სჭირდებოდათ, ამდენად, ის მარცხი უფრო შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ.

ფინალურ მატჩში სკარიოლოს ბიჭები უპირატესობას მეთოდურად ავითარებდნენ. ერთადერთი, ვინც ბოლომდე იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ტონი პარკერი იყო, რომელიც ცდილობდა ესპანელები ძალიან არ გაქცეულიყვნენ და მატჩისთვის ინტრიგა მაინც დაებრუნებია, მაგრამ მართლაც დიდებული გუნდის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ესპანელთა შეტევების შეჩერება შეუძლებელი იყო და ფინალშიც კინაღამ ასქულიან ზღვარს მიაღწია.

გადამწყვეტ შეხვედრაში 27 ქულის ჩაგდება მოახერხა შეუდარებელმა ხუან კარლოს ნავარომ, რომელმაც მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში ჯამში 88 ქულა მოაგროვა და ევრობასკეტის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვა.ცხადია, იგი ჩემპიონატის სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა, სადაც მის გარდა კიდევ ერთი ესპანელი პაუ გასოლი, ფრანგი ტონი პარკერი, რუსი ანდრეი კირილენკო და მაკედონიელი ბო მაკკალებიც შეიყვანეს.

ევროპის ჩემპიონატის მესამე ადგილი რუსებს ერგოთ. დევიდ ბლატის გაწვრთნილმა გუნდმა ბრინჯაოს მედლებისთვის მატჩში მაკედონია დაამარცხა. შეხვედრა ისეთივე დაძაბული იყო, როგორც ამ გუნდების მეორე ჯგუფურ ეტაპზე გამართული მატჩი, რომელიც რუსებმა ბოლო წამზე, სერგეი მონიას სამქულიანის წყალობით მოიგეს. ამჯერად რუსებს არ დასჭირვებიათ სამქულიანი, მათ 72:68 გაიმარჯვეს, თუმცა, შეიძლება ითქვას, მათ გაუმართლათ.

შეხვედრის დასრულებამდე 7 წამით ადრე, როცა მაკედონია 2 ქულით ჩამორჩებოდა რუსებს, მათმა უკანახაზელმა სტოიანოვსკიმ თანაგუნდელ ბო მაკალებისგან პასი მიიღო და ფართან მარტოდმარტო დარჩენილს ანგარიშის გასათანაბრებლად აღარაფერი დარჩენოდა, თუმცა მაკედონიელს ბურთი ხელიდან გაუცურდა და რუსების კალათში ველარ მოათავსა. არავინ იცის, რა მოხდებოდა დარჩენილ დროში, სტოიანოვსკის ის ბურთი რომ ჩაეგდო, თუმცა ფაქტია, რომ ააცილა და ამით მთელი თავისი გუნდი დაალალატა. არადა, მაკედონიამ 11□ქულიანი ჩამორჩენა გააბათილა და ბოლო მეოთხედში ლიდერობდა კიდეც. ევრობასკეტის გუნდი□აღმოჩენა ახლოს იყო ბრინჯაოს მედლებთან, თუმცა...

# ევროპის ჩემპიონატის ახალი ფორმატი ცნობილია

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა თავისი სადებიუტო გამოსვლა ევრობასკეტზე საუკეთესო 12 გუნდში დაასრულა და შანსი აქვს მომავალ ევროპირველობაზეც იასპარეზოს. მართალია ამისთვის ისევ საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევს, მაგრამ უკეთეს პირობებში იქნება.

ცნობილი გახდა ევროპის მომავალი საკალათბურთო ჩემპიონატის ფორმატი, რომელსაც 2013 წლის 4-22 სექტემბერს სლოვენიის ხუთი ქალაქი უმასპინძლებს. ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე 30 ნაკრები ითამაშებს, ფინალურ ეტაპზე კი, რომლის კენჭისყრაც 2012 წლის 18 ნოემბერს შედგება, კვლავ 24 გუნდი გაირჯება.უკვე ცნობილია, რომ 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ექვსი მოწინავე ნაკრები — ესპანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, მაკედონია, ლიტვა და საბერძნეთი სლოვენიაში პირდაპირ მოხვდება. ევრობასკეტის საგზურები განაღდებული აქვთ მასპინძელ სლოვენიასა და 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელ დიდ ბრიტანეთსაც.

ამგვარად, დარჩენილი 16 ვაკანსიისთვის 30 ნაკრები იბრძოლებს, რომლებიც ექვს ხუთგუნდიან ჯგუფში გადანაწილდებიან. ჯგუფების პირველ-მეორე ადგილოსნები და მესამე ადგილზე გასული ოთხი საუკეთესო მაჩვენებლის ნაკრები ფინალურ რაუნდში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ფინალში ფორმატი ისეთივეა, როგორც წლეულს ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. 24 ნაკრებს ოთხ ექვსგუნდიან ჯგუფში გაანაწილებენ, მეორე ჯგუფურ ეტაპზე სამ-სამი მოწინავე გავა, იქიდან კი მედლებისთვის ბრძოლას პირველ-მეოთხე ადგილებზე გასულები გააგრძელებენ.

# საქართველოს თასის მფლობელმა სტარტის შემდეგ ჩათვლიმა

**გაგრა — სპარტაკი 0:0**

**თბილისი.** მერანის სტადიონი. 500 მაყურებელი

**გაგრა:** სეფიაშვილი, ხუციძე (ზვიადაძე 12), ტყეშელაშვილი, კალანდაძე, გაბუნია, ჯიშკარიანი, ნაკონეჩნი, შარიქაძე (ქართველიშვილი 26), კვანტალიანი, ორდინსკი, მაგაჯი.

**სპარტაკი:** ძაგანია, ტეტუნაშვილი, ლომაია, თიბილაშვილი, ხუბუა, ნ.მაისურაძე, კილასონია (მამუჩიშვილი 52), შონია, შალამბერიძე, ჯიქია (რუხაძე 64), მეტრეველი (დ.გელაშვილი 59)



ჩინებული სტარტის შემდეგ საქართველოს თასის მფლობელი კრიზისშია და ზედიზედ 3 მოგებული მატჩის შემდეგ, ბოლო სამ ტურში მხოლოდ ქულის აღება მოახერხა. რაც შეეხება ცხინვალელებს, ამ გუნდს სპეციალისტებიც ჩემპიონატის ყველაზე საიდუმლო გუნდად მიიჩნევდნენ და ისე აღმოჩნდა, რომ ჯერაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია.

„სპარტაკი“ გაგრელებთან სათამაშოდ მოედანზე ახალმა მწვრთნელმა, ვოვა ხაჩიძემ გაიყვანა. გუნდებმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს და ერთმანეთს მშვიდობიანად გაეყარნენ.

მოედანზე თავიდანვე „ომი“ გაჩაღდა — გუნდები ყოველ მონაკვეთზე იბრძოდნენ და იმდენად ხისტად, რომ ექიმებს მოსვენება არ ჰქონდა — ზოგიერთ ფეხბურთელზე მეტი სირბილი მათ უწევდათ. ამის გამო იყო, რომ უკვე 26-ე წუთისთვის “გაგრას“ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცს 2 ცვლილება ჰქონდა გაკეთებული. ვერ ვიტყვით, რომ ცხინვალელები განსაკუთრებით უხეშად თამაშობდნენ — ტრავმები საფეხბურთო ბრძოლის შედეგია.

ასე ბრძოლაში გაილია და პირველი ტაიმი და გასაკვირიც არ არის, რომ ფეხბურთელებს საგოლე მომენტების შესაქმნელად დროც აღარ დარჩათ.

მე-2 ტაიმში კი ტემპმაც იმატა და საგოლე მომენტებმაც. მცირე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი 51-ე წუთზე შეიქმნა, როცა ქართველიშვილ-კვანტალიანის კომბინაციის შემდეგ ნიგერიელმა ფორვარდმა უმარ მაგაჯიმ ხუთიოდე მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ძაგანიამ ურთულესი ბურთი მოიგერია.გაგრელთაგან გოლის გატანა ვლადიმირ ორდინსკიმ, მიკოლა ნაკონეჩნიმ და იმავე მაგაჯიმ ხელიდან გაუშვეს. “გაგრადან“ ყველაზე აქტიური ნაკონეჩნი გახლდათ და მის გარეშე მასპინძლები ხიფათს ვერ ქმნიდნენ. უკრაინელი ნახევარმცველის პასებით ჯერ მაგაჯიმ ვერ გაიტანა თავით, შემდეგ კი შალვა კვანტალიანის დარტყმული მოიგერია ძაგანიამ. თავად ნაკონეჩნიმ კი ორჯერ ააცილა კარს შორიდან დარტყმული ბურთები.“სპარტაკი“ ცოტა ინერტული იყო. შეტევაში გადასვლას კი ცდილობდა, მაგრამ სიმწვავე აკლდათ — მასპინძლები კარგად იდგნენ დაცვაში და საფუძვლიანად უკეტავდნენ სივრცეებს ცხინვალელთა შემტევებს. ოდნავ გაამწვავა სიტუაცია შესვლაზე შესულმა ბუბა რუხაძემ, რომელმაც ტექნიკურად ითამაშა საჯარიმოში, მცველი მოატყუა და დაარტყა კიდეც, მაგრამ მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილმა კუთხურზე გადააგდო. სეფიაშვილმა ერთხელ თემურ შონიას შორიდან დარტყმულზეც იყოჩაღა და სული ეს იყო.

**ბაია — ვიტ ჯორჯია 0:1**

**ზუგდიდი.** გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონი

0:1 ვასაძე (13)

**ბაია:** სომხიშვილი, კანკია (პაჭკორია 46), ნ.შონია (კუკავა 72), გუგუჩია, რიგვავა, ქობალია, ეხვაია (სიხარულია 57), წურწუმია, აფაქიძე, მგელაძე, ტყემალაძე

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ადამაძე, კასრაძე, ჩიმაკაძე (სიხარულიძე 83), ვასაძე (გოგიაშვილი 90), ჯანელიძე, ღანიაშვილი, გ.გურეშიძე, ზაქრაძე (ოთარიშვილი 70), კორიფაძე, ხურცილავა

მიმდინარე სეზონში გუნდები სხვადასხვა პოზიციებზე იმყოფებოდნენ, ამიტომ მატჩში მცირე ფავორიტად მაინც მასპინძლები ითვლებოდნენ. თუმცა ვეტერინარებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ ბოლო პერიოდში ჩავარდნის მიუხედავად, გამონათებებიც შეუძლიათ.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მე-13 წუთზე, თბილისელთა სწრაფი კონტრშეტევა გიორგი ვასაძის შედეგიანი დარტყმით დასრულდა - 0:1.გაშვებული გოლის შემდეგ ზუგდიდელებმა კიდევ უფრო შეუტიეს და სტუმრებიც ერთხელ სასწაულებრივად გადაურჩნენ გოლს. დათა რიგვავას ძლიერი დარტყმის შემდეგ, ბურთი ძაძამიამ მოიგერია, რომელსაც ყველაზე ადრე ლევან წურწუმიამ მიუსწრო და ცარიელ კარში დარტყმული, ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს და კარში მაინც არ გავიდა.ძელი მეორე ტაიმშიც რამდენჯერმე მოევლინათ მშველელად სტუმრებს. ჯერ ლუკა გუგუჩიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი, მცირედი რიკოშეტის შემდეგ მოხვდა, მერე კი კუთხურის ჩაწოდებულზე ეხვაიას დარტყმულის შემდეგ იხსნა სტუმრები.

წელს ზუგდიდელებმა პირველი მატჩი წააგეს საკუთარ მოედანზე, ხოლო ვეტერინარებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| 2.ბაია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 12 |
| 3.ზესტაფონი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:6 | 11 |
| 4.მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 11 |
| 5.გაგრა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 7.მერანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 8.ტორპედო | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| 9.კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| 10.დილა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| 11.სპარტაკი | 6 | 0 | 3 | 3 | 7:9 | 3 |
| 12.სიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

**ბომბარდირები:**

დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) — 4 ბურთი; ლუკა გუგუჩია (ბაია), შალვა კვანტალიანი (გაგრა), გიორგი მანწკავა (მერანი), ჩისკო (დინამო), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 3□3.

# გია გეგუჩაძე „ტორპედოში“ 5 წლით მივიდა

ქუთაისის „ტორპედოს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება. საკუთარი განცხადების საფუძველზე, კიკნაძე-ზამთარაძის დუეტმა კლუბი რუსთავის „მეტალურგთან“ განცდილი მარცხის შემდეგ დატოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმერულ კლუბს სათავეში გია გეგუჩაძე ჩაუდგება. იყო საუბრები, რომ გეგუჩაძეს მუშაობა ავსტრიის ნაკრებში, ფრანკო ფოდას თანაშემწედ უნდა დაეწყო, მაგრამ გეგუჩაძის თქმით, ფოდას ოფიციალური წარდგენა გადაიდო, ხოლო გეგუჩაძემ წინადადება „ტორპედოს“ ხელმძღვანელობისგან მიიღო.გეგუჩაძისა და ქუთაისური კლუბის თანამშრომლობა 5□წლიანი იქნება, თუმცა ახალი მწვრთნელი ხვალ გასამართ ელ□კლასიკოს, ტორპედოსა და დინამოს შორის მაყურებლის რანგში დაესწრება და ქუთაისელებს მოედანზე დუბლშემადგენლობის მწვრთნელი გიორგი სუხიაშვილი გაიყვანს.

შეგახსენებთ, რომ ქუთათურებმა გასულ 5 ტურში მხოლოდ ორჯერ შეძლეს მოგება, სამჯერ კი დამარცხდნენ და მწვრთნელის შეცვლაც ამით იქნა გამოწვეული.

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ლივერპული ........ 4:0
სანდერლენდი-სტოკი ........ 4:0
ფულემი-სიტი ........ 2:2
მანჩესტერი-ჩელსი ........ 3:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

საუთჰემპტონი-ბირმინგემი ........ 4:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-რაიო ........ 0:1
სარაგოსა-ესპანიოლი ........ 2:1
ატლეტიკო-რასინგი ........ 4:0
ლევანტე-რეალი ........ 1:0
ბილბაო-ბეტისი ........ 2:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-სელტა ........ 1:0
ვილიარეალი ბ-გვადალახარა ........ 3:3

**იტალია. სერია ა**

ატლანტა-პალერმო ........ 1:0
ბოლონია-ლეჩე ........ 0:2
კატანია-ჩეზენა ........ 1:0
ლაციო-ჯენოა ........ 1:2
პარმა-კიევო ........ 2:1
სიენა-იუვენტუსი ........ 0:1
ნაპოლი-მილანი ........ 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-დორტმუნდი ........ 2:1
შალკე-ბაიერნი ........ 0:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალემანია-ფიურტი ........ 0:0
ბოხუმი-პადერბორნი ........ 0:4

**მიუნხენ 1860-ფრანკფურტი 4:0**

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-ნანსი ........ 1:1
ევიანი-პსჟ ........ 2:2
ლიონი-მარსელი ........ 2:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ოსვ-აიაქსი ........ 2:2
ტვენტ-დენ ........ჰააგი 5:2
უტრეხტი-ერაკლესი ........ 2:2

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

ვაანედამი-ემენი ........ 3:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ლეირია-მარიტიმუ ........ 1:3
ფეირენსე-პორტუ ........ 0:0
სეტუბალი-ბეირა მარი ........ 1:0
ბენფიკა-აკადემიკა ........ 4:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-ცსკა ........ 1:1
ყუბანი-ანი ........ 1:0
დინამო-ამკარი ........ 3:0
რუბინი-ზენიტი ........ 2:3
სპარტაკი-კრ.სოვეტოვი ........ 3:0

## შედეგები

ტერეკი-ლოკომოტივი 0:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-სელტიკი ........ 4:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ნოიშტადი ........ 3:0
შტურმი-ინსბრუკი ........ 1:1
მატერსბურგი-ავსტრია ........ 2:4

**ბელგია. პროლიგა**

გენტი-ანდერლეხტი ........ 0:1
გენკი-სტანდარდი ........ 3:0
ლოკერენი-ბრიუგე ........ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანიან-ასტერასი ........ 3:1
აეკი-ერგოტელისი ........ 1:0
პანიონიოსი-პაოკი ........ 1:2
ოლიმპიაკოსი-ქსანთი ........ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

მერსინი-ბურსა ........ 1:3
სივასი-ერჩიესი ........ 0:4
გალათასარაი-სამსუნი ........ 3:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ჟიჟკოვი-ტეპლიცე ........ 0:1
ჰრადეც კრალოვე-ბოჰემიანსი 1905 2:0
პრჟიბრჟამი-ბოლესლავი ........ 2:0

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

კრაკოვია-შლიონსკი ........ 0:1
ბიტომი-ლეგია ........ 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-დინამო ........ 1:2
კრივბასი-მეტალისტი ........ 0:1
შახტარი-ვორსკლ ........ 1:0
არსენალი-ოლექსანდრია ........ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-სონდერიისკე ........ 2:0
ლუნგბიუ-სილკებორგი ........ 0:2
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ ........ 2:0
კოპენჰაგენი-ოლბორგი ........ 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლი-სირიანსკა ........ 2:1
ჰელსინბორგი-მიალბი ........ 3:0
მალმიო-ტრელებორგი ........ 1:1
ჰეკენი-ელფსბორგი ........ 2:0
იორებრო-გიოტებორგი ........ 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-სონგდალი ........ 2:0
ალესუნდი-სარპსბორგი ........ 2:0
სტაბეკი-ოდ გრელანდი ........ 1:3
ტრომსო-სტრომგოდსეტი ........ 2:0
ლილესტრიომი-ვალერენგა ........ 0:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-ჰიკი ........ 1:1
კუუპიო-ვაასა ........ 4:2
როვანიემი-ჯჯკ ........ 3:3
ჰონკა-მიუპა ........ 2:0

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-პალმეირასი ........ 1:1
ატლეტიკო(პ)-ფიგუირენსე ........ 0:0
ბაია-ფლუმინენსე ........ 3:0
ბოტაფოგო-ფლამენგო ........ 1:1
კორინთიანსი-სანტოსი ........ 1:3
კრუზეირო-ამერიკა ........ 0:0

**არგენტინა. აპერტურა**

ოლდ ბოიზი-ველეჟი ........ 1:1
ესტუდიანტესი-არხენტინოსი ........ 4:3
ლანუსი-ბოკა ........ 1:2
უნიონი-რასინგი ........ 1:1

## კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**ფინალი**

ესპანეთი-საფრანგეთი ........ 98:85

**მე-3 ადგილისთვის**

რუსეთი-მაკედონია ........ 72:68

## ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

რუსეთი-პოლონეთი ........ 1:3
იტალია-სერბეთი ........ 1:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# დღის კალენდარი

## 20 სექტემბრისთვის



**წლის 263-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 102 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-15 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. სამშაბათი

წინადღესასწაული შობისა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. ხსენება მოწამე სოზონტისა (დაახლ. 304); მოწამე ევოდესი და ონისიფორესი, სამეოცდაათთაგანისა (I); მოწამე ევფსიქისა (II); ღირსი ლუკასი (X).

ტომით ლიკონიელი მოწამე სოზონტი მწყემსი იყო. ის ყურადღებით კითხულობდა საღმრთო წერილს და მერე ცოდნას სხვა მწყემსებს უზიარებდა. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს გამოეცხადა ანგელოზი და აუწყა, რომ მოწამებრივი სიკვდილი ელოდა. მართლაც, მან კილიკიის ქალაქ პომპეოპოლში კერპები დაამსხვრია, რისთვისაც იმპერატორ მაქსიმიანეს ბრძანებით სასტიკად აწამეს.

70-თაგან წმ. მოციქული ევოდე პირველი ეპისკოპოსი იყო სირიის ქალაქ ანტიოქიისა წმ. მოციქულ პეტრეს შემდეგ. მას 66 წელს მოწამებრივი აღსასრული ერგო.

70-თაგან წმ. მოციქული ონისიფორე ეპისკოპოსი იყო ჯერ ქალაქ კოლოფონისა, შემდეგ კი კორინთოსი.

წმ. მოწამე ევფსიქი დაიბადა კაპადოკიის ქალაქ კესარიაში. იგი ქრისტეს აღმსარებლობისთვის ორჯერ აწამეს, ბოლოს კი იმპერატორ ადრიანეს დროს აღესრულა.

ღირსი ლუკა მესამე იღუმენი იყო მაცხოვრის იმ სავანისა, რომელსაც „ღრმა მდინარეებს“ უწოდებდნენ და რომელიც კონსტანტინეპოლის მახლობლად მდებარეობდა.

### დაიბადნენ:

ქრისტეს შობამდე 356 — ალექსანდრე მაკედონელი, დიდი მხედართმთავარი, მაკედონელთა იმპერიის შემქმნელი. გარდაიცვალა 323 წელს.

1870 — პაულ პეეტერსი, ბელგიელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი. გარდაიცვალა 1950 წელს.

1884 — სპირიდონ კედია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ლიდერი (1917 წლიდან). გარდაიცვალა 1948 წელს.

1902 — ვასილ მჟავანაძე, პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1953-1972). გარდაიცვალა 1988 წელს.

1921 — გივი სვანიძე, ჰიდროლოგი და ჰიდროტექნიკოსი.

1930 — ჯუმბერ ლომინაძე, ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1934 — სოფი ლორენი, იტალიელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1863 — იაკობ გრიმი, გერმანელი ფილოლოგი, ცნობილი მეზღაპრე ძმათაგან უფროსი.

1897 — კარელ ბენდლი, ჩეხი კომპოზიტორი და დირიჟორი.

1908 — პაბლო სარასატე, ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი.

1957 — იან სიბელიუსი, ფინელი კომპოზიტორი.

1971 — გეორგოს სეფერისი, ბერძენი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1975 — სენ-ჟონ პერსი, ფრანგი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

1519 — მაგელანმა დაიწყო მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა.

1792 — გაიმართა ვალმის ბრძოლა. ფრანგთა არმიამ დაამარცხა პრუსიის ლაშქარი.

1862 — სანკტ-პეტერბურგში კონსერვატორია გაიხსნა.

1881 — არტურ ჩესტერი აშშ-ს პრეზიდენტი გახდა.

1870 — დამთავრდა იტალიის გაერთიანება და რომი სამეფოს დედაქალაქად გამოცხადდა.

1945 — ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, რომელსაც მაჰათმა განდი და ჯავაჰარლალ ნერუ ხელმძღვანელობდნენ, მოუწოდა ინგლისელებს, დაეტოვებინათ ინდოეთი.

### ღირსსახსოვარი დღეები:

იუდეველთა დღესასწაული — სუკოტი.

**მედიანიუსი**



ჩვენს საყვარელ

**დალი დავითურს**

ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს,
ღვთის წყალობასა და უზრუნველ
ცხოვრებას.

„ახალი თაობა“

სააქციო საზოგადოება „საქსოფმშენდეტალის“ აქციონერთა საერთო კრება ჩატარდება 2011 წლის 10 ოქტომბერს, 15 საათზე. მისამართი: ქ.გორი, შინდისის გზატკეცილი, III კილომეტრი.

დღის წესრიგი:

1. გენერალური დირექტორის არჩევა.

ს.ს. „საქსოფმშენდეტალის“ მეთვალყურეთა საბჭო

# საქართველოში სიკვდილიანობის 91% გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით

19-20 სექტემბერს, ნიუ-იორკში, აშშ-ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვდრა გაიმართება, რომელიც არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლს მიეძღვნება.

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის განცხადებით, არაგადამდები დაავადებებით ყოველწლიურად 36 მილიონი ადამიანი იღუპება, მათ შორის 9 მილიონი სრულიად ახალგაზრდა 60 წლამდე ასაკისაა, რაც დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს თითოეულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებს.

— არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ავადობა, ინვალიდობა და ნაადრევი სიკვდილობა ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის. საქართველოში სიკვდილიანობის 91 პროცენტი გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით, — აღნიშნულია დაავადებთა კონტროლის ცენტრის განცხადებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიის მანძილზე მეორედ, გენერალური ასამბლეის სხდომა მიეძღვნება ჯანმრთელობის საკითხებს (პირველი მიეძღვნა აივ?შიდსს). აღნიშნული შეხვედრის მიზანია ქვეყნებმა მიიღონ ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული დასკვნითი დოკუმენტი, რომელიც შექმნის მყარ საფუძველს მომავალი თაობების მიერ განსასაზღვრი დღის წესრიგისათვის.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, შეხვედრაზე, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიერ არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გლობალური სტრატეგიის მიღებიდან 11 წლის თავზე შედგება, ყურადღება გამახვილდება ორ მთავარ მოვლენაზე. პირველ მოვლენას წარმოადგენს, საერთაშორისო დონეზე სულ უფრო მზარდი გაცნობიერება იმისა, რომ არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილობა განაპირობებს პროდუქტიულობის დაქვეითებას, წარმოქმნის ბარიერებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის და ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ხასიათის სოციალურ პრობლემების წარმოშობას ქვეყნების უმრავლეობაში. მეორე მოვლენას წარმოადგენს ის, რომ დადასტურებულია არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილობის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციების (სახელწოდებით საუკეთესო შენაძენი„) ეფექტიანობა და არის საუკეთესო ინვესტიცია, მათ შორის ღარიბი ქვეყნებისათვის.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინორმაციით, არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის წილი საერთო სიკვდილობაში 63 პროცენტს შეადგენს.

— არაგადამდები დაავადეებით გამოწვეული სიკვდილობის 90 პროცენტი, დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებზე მოდის. არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის საერთო რაოდენობიდან 9 მილიონი 60 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის. არაგადამდები დაავადებები თანაბრად აზიანებს ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობას მთელ მსოფლიოში. არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ავადობის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია ეფექტური პრევენციული ზომების მიღების შედეგად, — აღნიშნულია დაავადებათა კონტროლის ცენრის განცხადებაში.

მათი ინფორმაციით, 2008 წელს მილიარდნახევარი მოზრდილი ჭარბწონიანი იყო, 2010 წელს კი თითქმის 43 მილიონი, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი ჭარბწონიანი იყო, თამბაქოს მოხმარება კი, ყოველწლიურად ექვსი მილიონი ადმიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, ძირითადი რისკების თავიდან აცილებით, შესაძლებელია არაგადამდებ დაავადებათა უმრავლესობის პრევენცია.

**მედიანიუსი**

# ვერა ქობალია: „გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში საინტერესო პროექტი განხორციელდება“




საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას განცხადებით, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში „საინტერესო პროექტი განხორციელდება“. ამის შესახებ ქობალიამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, თუმცა იმის დაკონკრეტება, კერძოდ რა პროექტზეა საუბარი და რამდენად გასხვისდება „სამშობლოს“ შენობა, ქობალიას ეკონომიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეა ბოლქვაძემ არ აცალა.

— სხვა დეტალებს მაშინ შეიტყობთ, როცა პრეზიდენტი სააკაშვილი „სამშობლოს“ შენობის გასხვისების შესახებ განკარგულებას მოაწერს ხელს, — განაცხადა ბოლქვაძემ.

შეგახსენებთ, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა პირდაპირი მიყიდვის წესით სხვისდება. მთავრობის გადაწყვეტილებით, შენობის ახალი მფლობელი კომპანია „სითი ლოფტი“ გახდება. შესაბამისი გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის 13 აგვისტოს სხდომაზე მიიღო. აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო რეესტრის ოფიციალური ინფორმაციით, კომპანია „სითი ლოფტი“ 2011 წლის 8 სექტემბერს დაფუძნდა. რეესტრში კომპანიის დაფუძნებაზე განმცხადებლად - ევგენი დავითაია, წარმომადგენლად კი დავით ოყროშიძეა მითითებული.

ცნობისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამომცემლობა „სამშობლოს“ აუქციონის წესით პრივატიზებას რამდენჯერმე შეეცადა. ბოლო აუქციონი 18 ივლისს გაიმართა. მაშინ ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 16 200 000 ლარი იყო, თუმცა განაცხადების არარსებობის გამო მთავრობამ შენობის პრივატიზება ვერ შეძლო.

**პირველი**

# მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

რუსმა სამართალდამცვებმა, მოსკოვში, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, მამუკა ჭკადუა დააკავეს. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

მას ჩხრეკისას რუსეთის მოქალაქის ალექსანდრ ევგენის ძე მალიგანოვის სახელზე დამზადებული ყალბი პასპორტი და 4,7 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ჰაშიში აღმოაჩნდა.

სამართალდამცავების ინფორმაციით, დაკავებულია 1974 წელს დაბადებული, ე.წ. კანონიერი ქურდი მამუკა ჭკადუა, რომელიც კრიმინალურ სამყაოში „მამუკა გალსკის“ მეტსახელითაა ცნობილი.

ჭკადუა რუსმა სამართალდამცავებმა ჟელეზნიაკის ბულვარში დააკავეს.

სამართალდამცავების ინფომაციით, ჭკადუა, როგორც ქალაქის, ასევე რეგიონალური დანაშაულებივი დაჯგუფებების, კრიმინალურ შემოსავლებს აკონტროლებდა.

**მედიანიუსი**

# ქვეყანაში 1 მლნ 800 ათასი ტურისტი შემოვიდა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მაია სიდამონიძის განცხადებით, 2011 წლის აგვისტოს მონაცემებით, ქვეყანაში 1 მლნ 800 ათასი ტურისტი შემოვიდა.

როგორც „პირველს“ სიდამონიძემ განუცხადა, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მონაცემს 45%-ით აღემატება.

— წლევანდელი ზაფხულის ტურისტული სეზონი შეიძლება, წარმატებულად ჩაითვალოს. 8 თვის მონაცემებით, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა 45%-ითაა გაზრდილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტები წელს არა მარტო აჭარის კურორტებით ინტერესდებოდნენ, არამედ სხვა რეგიონებითაც, მათ შორის - სვანეთით და სამეგრელოთი, კერძოდ, ანაკლიით, რაც თავისთავად ტურისტულ მარშრუტებს შორის კონკურენციის გაზრდას უწყობს ხელს, — განუცხადა „პირველს“ სიდამონიძემ. რაც შეეხება სეზონის დახურვას, სიდამონიძის თქმით, ეს ამინდებზეა დამოკიდებული, მაგრამ ზაფხულის ტურისტული სეზონი ოფიციალურად სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს დაიხურება.

**პირველი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი, უქოჩრო თუთიყუში; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 10. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 1. სოფოკლეს ტრაგედია; 6. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობი შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდის ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 14. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი ნივთიერება; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი ვენტილაცია, განიავება; 18. დიდი ზომის აფრიკული მაიმუნი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი

**თარაზულად:** 1. აკაცია; 4. დრაკონი; 7. პრესტო; 9. ბერიკა; 11. ასპექტი; 12. ნოემბერი; 13. ალხანა; 17. ქათიბი; 18. პირი; 19. აკორდეონი; 20. დირიჟორი.

**შვეულად:** 1. აბიო; 2. ირემი; 3. თრომბი; 5. რეიდი; 6. ნიშადური; 8. ვისკონსინი; 10. ეტალონი; 12. ნანსუკი; 14. რთველი; 15. მიმინო; 16. კრივი.

### სკანვორდი

**პასუხები:** 1. რა; 2. დრო; 3. ლანდი; 4. ზღვარაკი; 5. ტონა; 6. ნანი; 7. კანოტიე; 8. ჩაი; 9. ტეკილა; 10. ალი; 11. ილი; 12. კანადა; 13. კანაპე; 14. ალფა; 15. ლამინარია; 16. რომენ; 17. პანიკა; 18. ანესთეზია; 19. ნო; 20. და; 21. „აპასიონატა“; 22. იპრი; 23. დაფა; 24. იო; 25. პაი; 26. ლელთ; 27. ქნარი; 28. ოლეანდრი; 29. ებონიტი; 30. თანატოსი; 31. აპდაიკი; 32. მკათათვე.

**სურათებზე:** მელანი სი; დინო დრიპიჩი.

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში საერთაშორისო კონფერენცია იხსნება

ეკა ირემაშვილი

20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში საერთაშორისო კონფერენცია „საზოგადოება და ისტორიული გარემო" გაიმართება. კონფერენციის პარტნიორები არიან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბრიტანეთის საბჭო, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. კონფერენციის მთავარი თემაა საზოგადოების როლი და მისი ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.

— ამ ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის უცხოელ და ქართველ სპეციალისტებს შორის გამოცდილების გაზიარებას. კონფერენცია არის ასევე ერთგვარი ანგარიში საქართველოსა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თბილისის ისტორიულ ნაწილში, ბეთლემის კლდისუბანში, განხორციელებული პროექტისა „ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია". ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნულმა კავშირმა 1999 წელს საფუძველი ჩაუყარა პროგრამას „შევინარჩუნოთ ძველი თბილისი". სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში დაიწყო ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია. ბეთლემი სამოქმედო არეალად შემთხვევით არ შერჩეულა. იგი გამორჩეულია თავისი სიძველით, მაღალმხატვრული თბი-



ლისური ხალხური საცხოვრებლების კონცენტრაციით, საკულტო ნაგებობათა მრავალფეროვნებით, ერთმანეთთან ქუჩა-კიბეებით დაკავშირებული და ისტორიული საყრდენი კედლებით შემაგრებული ტერასული განაშენიანებით. მრავალგზის დანგრეული თბილისის ამ ნაწილის არქიტექტურამ ისტორიის ყველა პერიოდის კვალი შემოინახა. XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული გარეგანი სახის მქონე საცხოვრებელი სახლებისგან შემდგარ ურბანულ ქსოვილში IV-დან XVIII საუკუნემდე პერიოდში აშენებული ნაგებობებია ჩართული. ბეთლემის უბანში ნათლად ჩანდა იმ უმძიმესი პრობლემების მთელი სპექტრი, რომლის წინაშეც, ზოგადად, ისტორიული თბილისი დგას — ურბანული ქსოვილის მძიმე ფიზიკური მდგომარეობა, დაზიანებული ინფრასტრუქტურა, აგრესიული თანამედროვე მშენებლობა, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, — აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელი მაია შონია.

პროექტის ფარგლებში შესრულდა ბეთლემის ქუჩაკიბის რეაბილიტაცია, ისტორიული გარემოსა და ინფრასტრუქტურის მასშტაბური რეაბილიტაცია, ასევე ჩატარდა ათეშგას, ცეცხლის ტაძრის, საკონსერვაციო□სარეაბილიტაციო სამუშაოები, განხორციელდა ბეთლემის აღმართის ფასადის, ბეთლემის ქუჩის, გომის ქუჩის რესტავრაცია.

— პროექტის განხორციელების შედეგად დაგროვდა დიდი გამოცდილება და მიღწეულ იქნა ორი უმნიშვნელოვანესი შედეგი — უბნისადმი როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ზოგადად საზოგადოების შეცვლილი დამოკიდებულება და გაჯანსაღებული ბეთლემის უბანი, — აღნიშნავს მაია შონია.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმილ კონფერენციაზე ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროექტის გარდა წარმოდგენილი იქნება ისტორიული გარემოს დაცვის პროექტები — სპლიტის მაგალითი (ხორვატია), გენუას მაგალითი (იტალია), ტაოს პუებლოს მაგალითი (აშშ), ტალინის მაგალითი (ესტონეთი), კიევის მაგალითი (უკრაინა). კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს 60-მდე ცნობილი ქართველი და საერთაშორისო ექსპერტი. კონფერენციის პარალელურად ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოფენა გაიმართება. საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრება თავისუფალია.

# ქართველი და თურქი მხატვრები გაერთიანდნენ

ეკა ირემაშვილი

ქართველი და თურქი მხატვარი ქალები გაერთიანდნენ და ერთობლივი გამოფენის ჩატარება თბილისის ხელოვნების მუზეუმში „ქარვასლა" გადაწყვიტეს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართველი და 50 თურქი მხატვარი ქალის ნახატების გამოფენა 20 სექტემბერს გაიხსნება.

50 თურქი მხატვარი ქალისგან შემდგარი დელეგაცია უკვე თბილისშია. ღონისძიების ფარგლებში „ქარვასლის" წინ მდებარე სკვერში, სადაც სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი დგას პერფორმანსი გაიმართება. მიმდინარე წლის 4-10 ივლისს თურქეთის ქალაქ ტრაბზონში მსოფლიოს მხატვარ ქალთა მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი „ფემინ ენდ არტ" ჩატარდა, რომლის მიზანია ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, ქალთა უფლებების დაცვის მხარდაჭერა, გენდერული პრობლემების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა. ტრაბზონში მიწვეული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნიდან 50 მხატვარი ქალი, მათ შორის საქართველოდან ლელა გელეიშვილი, ლია შველიძე, ქეთევან ყაზაიშვილი და ქეთევან შალამბერიძე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პლენერში, ერთობლივ კონფერენციებში. ტრაბზონის ცენტრსა და სხვა რაიონებში შეიქმნა ერთობლივი მონუმენტური ფერწერული ნამუშევრები, მოეწყო დასკვნითი გამოფენა. ქართველმა მხატვრებმა თავიანთი პროფესიონალიზმითა და ნამუშევრების მაღალი დონით, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს. შედეგად თურქულმა მხარემ გამოთქვა სურვილი 2012 წლის გაზაფხულზე ფესტივალი ჩატარდეს საქართველოში. ამ კარგ წამოწყებაში, რომელიც რეგიონში ქართული კულტურისა და გენდერული თანასწორობის ტრადიციების როლს გაამყარებს და ხელს შეუწყობს მეზობელ ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, ქართული მხარეც აქტიურად იღებს მონაწილეობას.

თბილისში დაგეგმილი ერთობლივი გამოფენა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ეწყობა. თურქი ხელოვნების ვიზიტის ფარგლებში ჩატარდება კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოეწყობა უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების მიმართულების პედაგოგთა და სტუდენტთა გამოფენა და ჩატარდება პერფორმანსი.

# ვახტანგ მაჭავარიანი მამის მუსიკას უდირიჟორებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბილ საკონცერტო დარბაზებში. ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები გრამფირფიტის სახით გამოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და გერმანიაში.

— კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ორი უდიდესი კლასიკოსის კონცერტის გამართვა სიმბოლურია, რადგან ალექსი მაჭავარიანსა და ყარა ყარაევს სამაგალითო მეგობრობა აკავშირებდათ და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. კომპოზიტორების ნაწარმოებების გაცოცხლება კი სამართლიანი იქნება როგორც ამ ადამიანების შემოქმედებითი ღვაწლის მიმართ, ისე ახალგაზრდა თაობისა და დღევანდელობისთვის. საკმაოდ უჩვეულო და ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ნამდვილად ქმნის 22 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილი მსმენელებისთვის სიამოვნების მინიჭების საფუძველს, — განაცხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

კულტურის სამინისტროში დაგეგმილ პრესკონფერენციამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა დუშეთს ესტუმრა. მინისტრმა დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს უსასყიდლოდ გადასცა სასცენო განათებისა და გახმოვანების აპარატურა, რომელშიც ასევე ირიცხება განათებისა და ხმის მრავალარხიანი პულტი, აუდიო სიგნალის მრავალარხიანი გადამყვანი, დანადგარი მუსიკალური არანჟირებისთვის, პორტატული კომპიუტერი და სხვა ტექნიკური საშუალებები.

ამ საჩუქრის წყალობით, დუშეთის რაიონის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებენ დუშეთის თეატრალური დასი, ადგილობრივი ბენდი და ფოლკლორული ანსამბლები, მთლიანად აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური აპარატურით, რაც ხელს შეუწყობს მუსიკალური ნიჭის მქონე ადგილობრივი ახალგაზრდების, შემოქმედებითი დონის ამაღლებას.

— მოხარული ვარ, რომ დუშეთის კულტურის ცენტრისთვის მიცემული პირობა პირნათლად შევასრულეთ და ჩავუტანეთ ყველა ის საჭირო აპარატურა, რომელიც აუცილებელია ამ კულტურული ცენტრის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის. მჯერა, დუშეთის კულტურის ცენტრი გახდება ახალგაზრდებისთვის მიზიდულობის ცენტრი, მათ თავისი ნიჭიერების გამოსავლენად, ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მე კი ჩემი მხრივ მიხარია, რომ დაპირება შევასრულეთ და დუშეთს ასეთი საჩუქარი გავუკეთეთ, — განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

მომავალი წლიდან კი „საქართველოს რეგიონებში კულტურის ობიექტების ტექნიკური აღჭურვის" პროექტის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში კულტურის ცენტრების ტექნიკური აღჭურვაა დაგეგმილი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## გახსენება

გაუსაძლისი 40 დღე მიიწურა მას შემდეგ, რაც აღესრულა უსათნოესი და კდემამოსილი, მაგრამ ვაჟკაცი შვილის, დათოს ტრაგიკული სიკვდილითა და უკურნებელი სენით ტანჯულა ქალბატონი ჩუტა ჯაფარიძე-გვარლიანი. ჩუტა, შენი სიცოცხლის თარიღებს სიკვდილი ვერ წაშლის და შენი ნათელი სახე, ერთგულება და სიყვარული დავიწყებას არ მიეცემა, საფლავი კი სალოცავ ხატად გვექნება ნათესავებს, მეგობრებს, თანაკლასელებს.

ჩუტა, შენ ამქვეყნიური სიცოცხლით დაიმსახურე ზეციურ საქართველოში მარადიულ ნათელსა და სამოთხეში ყოფნა, გვწამს, რომ ასეც იქნება.

გვენატრები და მუდამ გვეხსომები.

უახლოესი ადამიანები: მეუღლე ნოფე გვარლიანი, შვილი ჯემალ გვარლიანი;ნოფეს მეგობრები: ავთანდილ მარგიანი, ბორის სარალიძე, კარლო ქოჩქიანი, ჟორა ნაკანი, ავთო ნიგურიანი, ბორის ჩარქსელიანი, ანზორ ჩარქსელიანი, გუბაზ პირველი, მურად უშხვანი, ივერი ჭელიძე, სოსო კვიციანი, გრიშა ლუხუტაშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ფირუზ ფილფანი, ადილარ ჩართოლანი, ბუთული მჭედლიანი; ჯემალის მეგობრები: ოთარ ჩართოლანი, გურამ ნაკანი, ოლეგ ზურაბანი, მაიზერ მჭედლიანი, ჯემალ გოშთელიანი; ჩუტას თანაკლასელები: კარლო ქოჩქიანი, ნინელი, ნატაშა, ბუხულა ჯაფარიძეები, თამარ გოშთელიანი, დოდოლი მარგიანი, ციალა ჩართოლანი, ლიზა გაბლიანი, რიდა გვარმიანი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# 3 ბრინჯაო და ოთხი თავისუფალი ლიცენზია

თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ქართველთათვის უფრო წარმატებული გამოდგა, ვიდრე 3 დღის წინ მორჩენილი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შედეგები.

სამი მედალი და ოთხი ოლიმპიური ლიცენზია — ასეთია საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ნადავლი.

დავით მარსაგიშვილის (84 კგ) ბრინჯაოზე უკვე ვწერდით, დასკვნით დღეს კი იგივე სინჯის მედლების მოპოვება დავით ხუციშვილმა (74 კგ) და დავით მოძმანაშვილმა (120 კგ) მოახერხეს, რასაც ავტომატურად ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ ამ სამეულის გარდა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური მეხუთეადგილოსანმა მალხაზ ზარქუამაც (60 კგ) გაინაღდა.

დავით ხუციშვილმა ტურნირი სამი მოგებით დაიწყო — კამერუნელი რომეო ჯოუმესი, ავსტრიელი ფილიპ კრეპაზი და პოლონელი კრისტიან ბრზოზოვსკი რიგრიგობით დაამარცხა, შემდეგ კი მეოთხედფინალში თავად წააგო ირანელ სადეგ საედ გოუდარზისთან წაგებით. ჩვენებურმა რეპეშაჟის ნახევარფინალში ბელარუსის სახელით მოჭიდავე მურად გაიდაროვს მოუგო და ოლიმპიური ლიცენზია გაინაღდა. ბრინჯაოს მედალი კი ყაზახი აბდულხაკიმ შაპიევის ძლევით მოიპოვა. სამპერიოდიანი შეხვედრის პირველი პერიოდი შაპიევმა 5:1 მოიგო. მეორე-მესამე კი ხუციშვილის უპირატესობისა და მისი მეტოქის რისკიანი პასიურობის მიუხედავად, უქულოდ გაილია და ორივეჯერ საქმე ბურთულის ამოღებამდე მივიდა. ფერი ორჯერვე ქართველს დაუჯდა და ეს შანსი გამოიყენა კიდეც.

დავით მოძმანაშვილმა მსოფლიოს პირველობა ირანელი ფარიდ პაპოუ მასუმი ვალადის ძლევით გახსნა. შემდეგ იაპონელ ნობუიოში არაკიდას აჯობა. მეოთხედფინალში კი ბელარუს ალექსეი შემაროვთან დაძაბულ შეხვედრაში წააგო და რეპეშაჟის ნახევარფინალში გადაერთო. თურქ ფატიჰ ჩაკიროღლუსთან მოგებით ლონდონი 2012-ის საგზური მიიღო, „ბრინჯაოს ფინალში" კი ხუციშვილის მსგავსად, ბურთულის ფერში მასაც გაუმართლა — ამერიკელ ტერველ ივაილოვ დლაგნევს სამ პერიოდში სძლია.

ბოლო დღეს თურქულ ხალიჩაზე 66 კილოგრამში მოჭიდავე შალვა მუზიაშვილიც გავიდა, მაგრამ ჩემპიონატს პირველივე წრიდან გამოეთიშა, ბელარუს ალი შაბანაუსთან წაგებით.საერთო გუნდურ ჩათვლაში ზაზა თურმანიძის შვიდეულმა 34 ქულა დააგროვა და მე-5 ადგილი დაიკავა. საუკეთესო რუსეთი გახდა, 43 ქულით. მეორე-მეოთხე ადგილებზე კი ირანი (41), აშშ (38) და აზერბაიჯანი (37) გადანაწილდნენ.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 20 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** დოკ. ფილმი **11.25** **რაგბი**. მსოფლიო თასი. იტალია-რუსეთი **13.30** აღმოაჩინე საქართველო **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **16.00, 19.00, 20.00** მოამბე **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"** (სუბტ.) **00.05** აუდიტორია **01.05** ქართული დოკუმენტალისტიკა **02.35** მხ. ფილმი **"მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ"** (18) **04.35** მხ.ფ. **"დედიკოს ბიჭი"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** **20.00** მხ.ფ. **"ორმაგი შეცდომა"** **02.00** მხ.ფ. **"ანგარიშსწორება"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ჯეოსტარი **23.00** თქვენი შოუ **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** ნანუკას შოუ **01.15** მხ. ფილმი **"ბრილიანტის ამბავი"** (12) (ბ. ჰოვარდი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"ნედ კელი"** (12) (ჰ. ლეჯერი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფ. **"წყალქვეშა საპყრობილე"** (12) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სახლი ბათუმში **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ჩარლი ჩაპლინი" **10.50** სადვთისმეტყველო საუბრები **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩაკლული სული"** **13.35** კონცერტი – ანს. "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ჩრდილი გზაზე"** **16.40** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.20** დოკ. ფილმი "ცამეტი წმინდა მამის ნამოღვაწარი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** **100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"მალე გაზაფხული მოვა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფილმი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" **01.25** კონცერტი – ნ. გელაშვილი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**20 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,641
ევრო — 2,3815
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 15-16
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 17-18
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — 4-8

## ამინდის პროგნოზი 20 სექტემბრისთვის






## გაზეთ „ახალი თაობის“ 19 სექტემბრის ნომერთან ერთად იყიდება

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## პირველი ტომი



**მასში თავმოყრილია შემდეგი ნაწარმოებები:**

1. **ლეონტი მროველი** — ცხოვრება მეფეთა
2. **იაკობ ხუცესი** — შუშანიკის წამება
3. **უცნობი ავტორი** — ცხორებაი და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოისი
4. **უცნობი ავტორი** — მოქალაქობაი და წამებაი წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაი
5. **უცნობი ავტორი** — მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი
6. **უცნობი ავტორი** — სიბრძნე ბალაჰვარისი
7. **იოვანე საბანისძე** — ჰაბოს წამება
8. **იოანე მინჩხი** — დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი
9. **მიქაელ მოდრეკილი** — იამბიკონი
10. **იოანე ზოსიმე** — ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!

## საქართველო-ამერიკის მეგობრობას ფეხბურთითაც აღნიშნავენ



გაისად საქართველო და ამერიკა მჭიდრო ურთიერთობის 20 წლისთავს აღნიშნავს და, როგორც ჩანს, ამ იუბილესთვის საზეიმო დღეები არ მოგვაკლდება. ზეიმის ერთ-ერთ ნაწილად საქართველოსა და ამერიკის ეროვნული გუნდების საფეხბურთო მატჩები ითვლება და დიდი შანსია, გაისად იურგენ კლინსმანის გაწვრთნილ გუნდს ორჯერ შევხვდეთ — ერთი მატჩი საქართველოში გაიმართება, ერთიც — აშშ-ში.

— გაისად საქართველო-ამერიკის მჭიდრო ურთიერთობის 20 წლისთავია და ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ამ ქვეყნების ეროვნული გუნდების მატჩების გამართვის თაობაზე. საქმეში ჩართულია საქართველოს საელჩო აშშ-ში. კერძოდ, ვაშინგტონიდან დაგვიკავშირდა ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი მიხეილ დარჩიაშვილი და ახლა მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს, — აცხადებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

ამერიკის ნაკრებს მსოფლიოს ბოლო 6 ჩემპიონატიდან ერთიც არ გამოუტოვებია, სადღეისოდ კი ფიფა-ს რეიტინგში 28-ე პოზიციაზე არიან. მწვრთნელი, როგორც უკვე გითხარით, ლეგენდარული გერმანელი იურგენ კლინსმანია, რომელიც 1995 წელს საქართველოში უკვე იმყოფებოდა გერმანიის ნაკრების მაისურით და ჩვენი ნაკრების კარში ორი გოლიც გაიტანა.

## ვახტანგ მაჭავარიანი მამის მუსიკას უდირიჟორებს

ეკა ირემაშვილი

ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი 22 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მამის კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის მუსიკას უდირიჟორებს. ალექსი მაჭავარიანის მუსიკასთან ერთად, კონსერვატორიაში შეკრებილი კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის, აჟღერდება ყარა ყარაევის მუსიკაც.



22 სექტემბერს დაგეგმილ კონცერტზე ვახტანგ მაჭავარიანი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს. კონცერტის პროგრამაშია ქართული და აზერბაიჯანული მუსიკა, გამოჩენილი კომპოზიტორების ალექსი მაჭავარიანისა და ყარა ყარაევის უკვდავი ქმნილებები: ალექსი მაჭავარიანის ქართული საზეიმო უვერტიურა, მეორე სიუიტა ბალეტიდან „ოტელო“ და ყარა ყარაევის სიუიტა ბალეტიდან „ქუხილის ბილიკით“.

როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანმა განაცხადა:

— კონცერტს გახსნის ალექსი მაჭავარიანის ქართული საზეიმო უვერტიურა. ასევე აჟღერდება ალექსი მაჭავარიანის მეორე სიუიტა ბალეტიდან „ოტელო“ და ყარა ყარაევის სიუიტა ბალეტიდან „ქუხილის ბილიკით“. კონცერტზე კომპოზიტორების სხვა უკვდავი შედევრებიც გაცოცხლდება, მათ შორის სიმფონიური ორკესტრი ააჟღერებს ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებს „ფიროსმანი“, რომელიც აქამდე მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობდა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მომეცა საშუალება შემსრულებლის, ინტერპრეტატორის როლში შევეხო ყარა ყარაევის დიდ მუსიკას. ვხარობ იმითაც, რომ მუსიკალური საზოგადოება ერთ კონცერტში მოისმენს ამ ორი დიდი მეგობრისა და შემოქმედებითი გიგანტის ქმნილებებს, — განაცხადა მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანმა.

ქართველი კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი და აზერბაიჯანელი კომპოზიტორი ყარა ყარაევი იყვნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, მრავალგზის ორდენოსნები და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოებისა და პრემიის მფლობელები. მათი ქმნილებები წარმატებით ჟღერდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცნო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 20 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

 წარმატებული დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ქალწული** — საღამოს დაჯილდოვდებით, საზეიმო განწყობა არ გტოვებთ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი სატრფო სიურპრიზს გიმზადებთ. **მერწყული** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ღატაკი, უსახლკარო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ამერიკაში გავრცელებული თუთიყუში; 3. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. ჭადრაკის ფიგურა; 5. ბალჩეული ხილი; 6. ქალაქი იმერეთში; 7. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 10. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 11. ბრიტანეთის ნაწილი; 12. უგემოვნო სანახაობა, წარმოდგენა; 13. ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 16. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 19. ცხარე საწებელა; 21. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 24. ძვირფასი ლითონებით მოჭედილი ცხენის აღვირი.

**თარაზულად:** 1. რძის შაქარი; 3. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. მთა თბილისში; 9. სამშენებლო მასალა, ფოროვანი მინერალი; 14. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 15. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 17. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 20. პერანგის ქართული სახელწოდება; 22. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 23. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 25. სამჭედლო იარაღი; 26. ძვირფასი ლითონი; 27. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 28. ოსური ხაჭაპური.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## იუმორი



***

ერთი მონადირე მეორეს ეუბნება.

— იცი, რა უცნაური ძაღლი მყავს, თოფს რომ ვისვრი, მიწაზე გორვას იწყებს და სიცილით კვდება

— თუ მოარტყი, მაშინ?

— არ ვიცი, ჯერ მხოლოდ სამი წელია რაც მყავს...

***

რეჟისორი დრამატურგს:

— იცით, წავიკითხე თქვენი პიესა, მაგრამ არ დავდგამ. თეატრში დედის გინების წინააღმდეგი ვარ.

— კი მაგრამ, ტექსტში გინება არ არის.

— სამაგიეროდ, დარბაზში იქნება...

***

— რა გირჩევნია, ღვინო თუ უკვდავება?

— რა თქმა უნდა ღვინო, ხუთი მილიონის წლის შემდეგ მზე მაინც ჩაქრება...

***

— მივიდა ბერიკაცი ზღვასთან, ისროლა ბადე, მოზიდა და ოქროს თევზი ამოიყვანა.

— ადვოკატის გარეშე კრინტსაც არ დავძრავ — ეუბნება თევზი.

***

ქალმა სილამაზის სალონში დარეკა.

— უკაცრავად, ფოტოეპილაცია რას ნიშნავს?

— ფოტოშოპში კეთდება...

***

— შეგიძლიათ თამამად ამიყვანოთ ჯამბაზად, მკვდარსაც კი გავაცინებ.

— სამწუხაროდ, ცოტა განსხვავებული კლიენტურა გვყავს...

***

— რამდენი წლის ხართ, მადამ?

— ცოტა ხნის წინ ოცდაათს მივუახლოვდი.

— მართლა? მერე გზაში ასე დიდხანს რამ დაგაყოვნათ?

***

მკითხავთან:

— ვხედავ, მალე გათხოვდები.

— ჰო, მაგრამ მას არ უნდა.

— მოუწევს, ორ ზოლს ვხედავ...

გ. თ.

## გიყვართ თუ არა მარტოობა

**ტესტი**

ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ დიახ (1 ; არ ვიცი (2 ; არა (3 .



1. ხანდახან ვოცნებობ, რომ რამდენიმე დღე არავის შევხვდე და ადამიანებისაგან დავისვენო;
2. ვგრძნობ, რომ არასდროს მყოფნის დრო;
3. მსურს ტყეში მარტო სიარული;
4. ხშირად სხვა ადამიანების გვერდით თავს მარტოსულად ვგრძნობ;
5. ბავშვობიდანვე მიტაცებდა მარტო თამაში;
6. მარტოობას არასდროს განვიცდიდი;
7. მიყვარს წიგნების კითხვა;

**პასუხები**

**7-12 ქულა:** მარტო თავს მოწყენილად არასდროს გრძნობთ. ყოველთვის შეგიძლიათ თქვენთვის საქმის ან გასართობის მოძებნა. მარტოობა თქვენზე დამთრგუნველად არ მოქმედებს.

**13-16 ქულა:** თქვენთვის ცნობილია რა არის მარტოობა, როგორც მწარე, ასევე ისეთი, რომლითაც ტკბობა შეიძლება. შეგიძლიათ საკუთარი თავის მართვა მაშინ, როდესაც გარშემო არავინაა. ამ მარტოობისას ხშირად გიჩნდებათ ილუზია, თითქოს თქვენს გვერდით ვიღაცა დგას.

**17-21 ქულა:** მარტო თავს ძალიან ცუდად გრძნობ. შეჩვეული ხარ ხალხმრავალ ატმოსფეროს. არ შეგიძლიათ თუნდაც უმნიშვნელო სიახლის ან ჭორის დიდხანს შენახვა და სხვებისთვის გაზიარების დაუძლეველ სურვილს გრძნობთ. ადამიანებთან ურთიერთობა თქვენთვის ყველაფერია. თქვენ საზოგადოების აქტიური წევრი ბრძანდებით.

გ. თ.